№ 73

საბჭოთა საქართველო

№ 73

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი, 3 აგვისტო, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

საბჭოთა გაზეთი

ყოველ-დღიურ გაზეთს გარდა გაზეთს ეძღვნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანად: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეშ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი ხტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კაპიტალის გარეშე) შიდგებულ განცხადებათა ფასი: ხტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დამეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სადამდს 4 საათამდე ღირს 3 მ. ფიზი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

* * * *ხელის-მომწერთა საყურადღებოდ* * * *
* * * * * * * *

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმოწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„საბჭოთა გაზეთის“ კანტორა ღია ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

ქართული საზაფხულო თეატრი

სამშაბათს, 3 აგვისტოს,

მეჩვიდმეტე დღე ფრანგულ მოჭიდავეთა

ჩემპიონატისა

დღეს იჭიდავებენ ხუთი წყვილი ფალავნები:

1) წითელი ნიღაბი (მასკა) შავ ნიღაბთან. 2) უკანასკნელი გადამწყვეტი ჭიდაობა პეტერსონისა და ვანროტენის შორის. 3) რუსული-შვეიცარული ჭიდაობა რაზინისა და რეიბერის შორის. 4) გადამწყვეტი ჭიდაობა ნაჯისა და აპოლონის შუა. 5) მახოვი და ლიტვინოვი.

ჭიდაობის დაწყებამდე ახალი სინემატოგრაფი უჩვენებს სხვა და სხვა საინტერესო, სამეცნიერო და გასართობ სურათებს. საღამოს დასაწ. 9 ს., ჭიდაობისა 10½ საათ.

ღდლეებში გაიმართება უმთავრესი პოლონელ ფალავნის ს. პეტერსონის ბენეფისი. მრავალისაინტერესო რამ იქნება ნაჩვენები.

ფილების ფასი (30 კაპ., 2 მან.) ყველასათვის ხელმისაღწვდომია. (1—ნ.—1)

ნადგან კუკიის მართლ-მადიდებელ სასაფლაოზე მებაღე დათხოვნილია, ამიტომ ვეხოვ ვისაც საფლავი ჩაბარებული ჰქონდა მებაღეზე—მეგობაროს. ვინც ტფილისში არ იმყოფება, მათ ჩამოსვლამდინ მე მოუვლი საფლავებს. თუ მებაღეს ერგება რამე ფული, გთხოვთ მე გადმომცეთ, ადგან მას წყლის ფული არ წარუდგენია.

(2—1) **მოიჯარადრე სასაფლაოსი კ. მიროტაძე.**

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ BATON-ის წიგნი

„ერი და კაცობრიობა“

კერძო მყიდველებმა და წიგნის მაღაზიებმა, ვისაც სურს წიგნი შეიძინოს, უნდა მიმართონ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას.

ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди Грузинъ, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства. (0—32)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარეგან ეფექტ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ბაუმგარტენ—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ა. ბიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ბ. ბობოვი—ყელ.. ყურ. ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წერ.—ნ. 404)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოხიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტერეულის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ალამბარიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-ღდ; გარდა კვირა. 11-12 სა.

ბედევანიშვილი მ. ბ. ნერ. და ელექ. ოთხშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

ბორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

ბურკა გ. ბ. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ბ. ბ. კან. და ვენ., ყოველ-ღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ხ. შინაგანი. ოთხშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ოთხშ., ოთხშ. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

ბაბოვი ვ. ბ. ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

სობოლევსკი ვ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღ, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც ეგზაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საოპერაციო 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაციები, კონსულტაციები, ელექტროენერგიით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—243)

დასურათებული ასაწყობი ანბანი კუბიკებზე

(„ნაკადულის“ პრემია).

შემუშავებულია ცალკე კომისიის მიერ პედაგოგებისაგან, მოკლე ხანში დაზადება და დაურიგდება პრემად „ნაკადულის“ წლიურ ხელის-მომწერთ. რადგანაც ამგვარი ანბანის მოთხოვნილება ქართულ ოჯახებში დიდია, ამიტომ რედაქციას სურვილი აქვს დახმარება გაუწიოს საზოგადოებას და სთხოვს მსურველთ, არა ხელის-მომწერთ, ეხლავე დაიკვეთონ, რადგანაც რედაქცია გასასყიდად დასურათებულ ანბანს კუბიკებზე ვერ დაამზადებს. დაკვეთა შეიძლება 15 ენკენისთვემდე; ღირება გაუზავნელად 1 მანეთი.

სამკურნალო

სპეციალისტ სამზედრო ექიმებისა გარეგან მოხიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბადის მანლოვლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიდება 9½-დან 5 ს.-დე

ხარაპ—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-ღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ოთხშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოგოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ-ღე 4—5 საათ.

მოხნე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

ხუდაბაშეკი—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ-ღე 11—12½ საათ.

ვესელოვზოროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. გარდა კვირა-უქმისა 2—3 საათ.

ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველ-ღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

მიკირტუმოვი ღილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ. სულ. ელექტროთერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4—5 საათ.

ფონდოროვი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 2—3 ს.

ი. მ. ახპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—80)

ექიმი **მ. ს. არჯევანიძე** ქუთაისში.

იღებს ავადმყოფებს: შინაგან, ქალთა სნეულებ. აგრეთვე საბებიო. დილის 9—12 ს. საღამოს 6—7 საათ. გარდა კვირა-უქმე დღეებისა. ბუმბინის ქ., სახ. ი. ი. გოგიბლოვისა. (25—კვ.—18)

ექიმი **კბილისა ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პრიზს. N 12, სახლი მდივანისა. (ე)

ექიმი **მ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კირაჩნის ქ., № 9. (ე)

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე ნაღამდს 5½—6½ საათამდის. კაბეთის ქ. ტელეფონი N 816.

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. ბედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყოფლანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—5. —116)

ექიმი **ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., ს. ღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირჩიჩნაია). (0—177

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ზუთშაბათოთ მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი კაბაშვილისა (ე)

ექიმი **კბილისა ნინო რცხილაძე** იზმაილოვზე N 2. **გადავიდა** ვის ქუჩაზე N 2. **იღებს** ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი **გაბ. ი. ბოკიელოვი** ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფებს მიიღებს საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლება ჭლექიანებისა, ელექტროფერეზი, ელექტროენერგია, ელექტროენის ფიზიოლოგიის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—ნ.—40)

ქირავდება ერთი ოთახი ზემო სართულში მზიანი და ნათელი. შეიძლება მოწყობილობით და სადილით. კირაჩნი და ელისაბედის ქუჩის კუთხე № 69. მარჯვენა ხელოთი ზარი. იქვე მიიღებენ მოწაფეებს სრულ ხარჯზედ.

ფალიერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო

ძ. ტარნოვსკლეგის

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

ფასები საფაბრიკოა.

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—43)

დაბა ხონში

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ხონის განყოფილების

წიგნის მაღაზიაში

იყიდება ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები, ახალი წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და საკანცელარიო ნივთები. მაღაზია საკომისიოდ ღებულობს წიგნებს და კისრულობს გამომცემელთა ამხანაგობას.

მაღაზიას უკვე დაკვეთილი აქვს საოსწავლო წლისათვის საჭირო წიგნები და რვეულები და ამ მხრივ ადვილად შეუძლია ხონის რაიონის დაკმაყოფილება.

დავკარგე

მე, **გიორგი ა. მელიქ-მირზოევმა,** დავკარგე უვადო პასპორტი. ვთხოვ, ვინც იპოვნოს, აცნობოს **ამ ადრესით** რუსის ქ. № 3 სტამბა „სინათლე“ **პაპა მირზაშვილს.** (1—1)

ტფილისი, 3 აგვისტო

სპარსეთში ისევ აიწყო დაიწყო საქმეები. ცნობები ძალიან ცოტა მოდის. მართალია, გაზეთებში ბევრსა სწერენ სპარსეთის ამბებზე, მაგრამ საქმის ნამდვილ ვითარებას არც ერთი მაიგანი არ გვაცნობს. უმეტეს შემთხვევაში გაზეთებში გამეორებულია ხოლმე სპარსეთის განვლილ რევოლიუციის მომენტები. ის კი, რაც დღესა ხდება სპარსეთში, მეტის-მეტად გამოურკვეველია. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ბრძოლა, ნამდვილი სამოქალაქო ომი სწარმოეს სათარ-ხანსა და კონსტიტუციონურ მთავრობის შორის. რა მოხდა? სათარ-ხანი ცნობილია, როგორც უერთგულესი მებრძოლი თავისუფლებისათვის. სათარ-ხანი თავის რაზმებით ებრძოდა შაჰს მთავრობას ჯერ ისევ მაშინ, როდესაც სპარსეთის სხვა ადგილებში შედარებითი სიჩუმე სუფევდა. მან ბევრი შრომა და ენერგია დახარჯა ამ ბრძოლაში. დღეს კი იგი დაჭრილი გდია ათაბეგის მდიდრულად, ევროპიულად მოწყობილ სასახლეში, დამარცხებული და თითქმის ყველასაგან თავ მინებებული. გმირი, რომელიც თვით მთავრობამ გამოაცხადა სამშობლოს მხსნელად, დღეს გულგანგმირულია თვით კონსტიტუციონურ მთავრობის მიერ. მარტო ეს ფაქტი საკმარისია იმისთვის, რომ სპარსეთის საქმეების მეთვალ-ყურეს გზა-კვალი აერიოს.

მაგრამ, ასეა თუ ისე, სათუო დასკვნის გამოყვანა მაინც შესაძლებელია. საქმის მდგომარეობა სპარსეთში, როგორც აწეწილ-დაწეწილ და ხშირად ერთი-მეორის საწინააღმდეგო ცნობებიდანა სჩანს, ამნაირია.

რევოლიუციის შემდეგ სპარსეთის სატახტო ქალაქში ბევრმა შეიარაღებულმა ხალხმა მოიყარა თავი. ყოფილი რევოლიუციონერები, ფიდაები, ეხლა თეირანში სრულიად უსაქმოდ იმყოფებოდნენ. ზაუხულში ამ უკვე უსაქმოდ დარჩენილ შეიარაღებულ ფიდაებს სათარ ხანისა და ბაგირ-ხანის ფიდაებიც მიემატნენ.

მთავრობას ასეთი მდგომარეობა არაფრად ეპაშნიკებოდა. ნორმალური მუშაობა მაშინ, როდესაც გარშემო შეიარაღებული ბრბო ერტყა, მას შეუძლებლად მიაჩნდა. ამიტომ მთავრობას აუცილებლად რაიმე ზომები უნდა მიეღო საქმის მოსაწესრიგებლად. სეპეხდარს, როდესაც იგი მინისტრად იყო, ეს ფიდაები მთავრობის ჯარში ჰყავდა. „რუსკ. სლოვ.“-ს კორესპონდენტი ყოველ შემთხვევაში ასე გადმოგვცემს. სეპეხდარის შემდეგ კი, ახალმა მთავრობამ ეფრემის რაზმები და სარდარ ასადის ბახტიარები მიიღო ჯარში, სახაზინო სამხედრო მუნდერებიც კი ჩააცვა; სათარ-ხანის მომხრეს კა იარაღის აყრა სთხოვა. და აი, გუშინდელი რევოლიუციონური თეირანის პოლიციმეისტერი ეფრემი შრაპნებით უმასპინძლდება სათარ-ხანს, რომელიც მთავრობის გარდაწყვეტილებას არ დამორჩილდა და წინააღმდეგობა გაუწია.

ასეთია საქმის ფაქტიური მხარე, შინაარსის გაგება კი ძალიან ძნელია. ადვილად შესაძლებელია, რომ ახალი მთავრობა სეპეხდარის მთავრობაზე რეაქციონური იყოს. მაგრამ ეს გარემოება კიდევ ნებას არ გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სათარ-ხანისა და მის წინააღმდეგ გალაშქრება მას მარტო თავის რეაქციონერობით მოსდიოდეს, როგორც ეს მაგალითად „რუს. სლ.“-ს კორესპონდენტს ჰგონია. რომ მთავრობას შეიარაღებულ, ყოველ გვარ დისციპლინის გარეშე მყოფ ელემენტისათვის ბოლო უნდა მიეცა, ეს ცხადია. სხვა პირობებში მთავრობას, რანაირი მთავრობაც უნდა იყოს, მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა ეს სახელმწიფოს მართვა გამგეობის ლოლიკის წინააღმდეგი იქნებოდა. მთავრობას აუცილებლად რაიმე ზომები უნდა მიეღო. ან ყველა შეიარაღებული ფიდაები ჯარში ჩაერიცხა, ან და იარაღის ახსნა მოეთხოვა. მთავრობამ სარდარ ასადის ბახტიარები ჯარში ჩარიცხა, სათარ-ხანის ფიდაებს კი იარაღის ახსნა მოსთხოვა. რითი ხელმძღვანელობდა მთავრობა, როდესაც ასე იქცეოდა? რატომ სათარ-ხანის ფიდაებიც ჯარში არ ჩარიცხა და ამით სამოქალაქო ომი თავიდან არ აიცილა? ან რას ფიქრობდა, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ეფრემი, რომელიც გუშინდელ თავის მოკავშირეთ ზარბაზნებსა და პულემიოტებს უშენდა? ამის პასუხს ჩვენ ვერსადა ვპოულობთ. სანამ მტკიცე საბუთები არ გვექნება ხელში, შეუძლებელია ტალახში ამოვსვაროთ მთავრობა. სათარ-ხანი გმირი იყო, მაგრამ მისი ნამდვილი პიროვნება, მისი შემოქმედების ნამდვილი მოტივები ჯერაც გამოურკვეველია. ადვილად შესაძლებელია სათარ-ხანი სრულიადაც არ იყოს ისეთი შეგნებული რევოლიუციონერი და დამცველი კონსტიტუციონურ წეს-წყობილებისა, როგორც ჩვენ გვეგონა. სპარსეთში ისეთი დახლართულია ურთიერთობა სხვა და სხვა პროვინციებსა და მათ ბატონ-პატრონთა შორის, ისეთი რთული სოციალური ურთიერთობა არსებობს სხვა და სხვა წოდებათა შორის, იმდენნაირი მოტივები იყო გადახლართული სპარსეთის თვით განვლილი რევოლიუციის დროს, რომ გარდაწყვეტილ აზრის გამოტანა სპარსეთის გმირ სათარ-ხანის შესახებ შეუძლებელია. ამით ჩვენ არ გვინდა სათარ-ხანის მნიშვნელობას რაიმე ჩრდილი დავაყენოთ. ჩვენ მხოლოდ ზოგად მოსაზრებას გამოვსთქვამთ სპარსეთის მდგომარეობის შესახებ. და ეს გარემოება გვაიძულებს საქმის გამოურკვევლად დამნაშავის სკამზედ არ დაესვათ ანერთი ინ მეორე მხარე, როგორც ამას ზოგიერთი რუსული გაზეთები სჩადიან.

არსებობს კიდევ მეორე ვერსია იმ მიზეზებისა, რომლებმაც შეტაკება გამოიწვიეს. ამ კურსის „რუსკ. ვედ.“ ამნაირად გადმოგვცემს. ცხადია, რომ ეს მოძრაობა სპარსეთში დაკავშირებულია იმ მსვლელობასთან, რომელიც ამას წინად სპარსეთში მოხდაო, გადმოგცემს ზემოხსენებული გაზეთი. ივლისის და საწყისში ფიდაებს მოუკლავთ მუშტეიდი სეიდ-აბდული, რომელიც რეაქციონურ პარტიის მოთავედ ითვლებოდა. ამ სეიდ-ამბდულს დიდი ავტორიტეტი ჰქონია მოპოვებული სპარსეთში. იგი წარჩინებულ შთამომავთობისა ყოფილა და ამით ყოველთვის მისი პიროვნება ხელ-შეუხებელი იყო ხოლმე. კარგა ხანი გასულა მის მოკვლის შემდეგ, მაგრამ მთავრობას მაინც მკვლელები ვერ აღმოუჩენია. მაშინ აბდულას მომხრეთ შორის-ძიება გადაუწყვეტიათ და 19 ივლისს თეირანში ორი ნაციონალისტი მოუკლავთ. მთავრობას გადამტერებულ პარტიათა მოქმედებისა შეშინებია და გადაუწყვეტია იარაღის ახსნა. როგორც დეპეშებიდანა სჩანს, თავდაპირველად ყველა პარტიების მეთაურები დათანხმებულან იარაღის ახსნაზე, მაგრამ შემდეგ, როდესაც სათარ-ხანს დაუნახავს, რომ სხვები იარაღს არ იხსნიან, მასაც უარი განუცხადებია შეტაკებაც ამას გამოუწვევია. ეს „სხვები“, როგორცა სჩანს, სარდარ ასადის ბახტიარები უნდა იყვნენ.

როგორც თქვენ დაინახეთ, მკითხველო, საქმის ვითარება ფრიად გამოურკვეველია. ბრძოლა კი სწარმოებს. სად მოიყვანს ეს შინაური უთანხმოება სპარსეთს, ამას მომავალი გვიჩვენებს. ჩემის აზრით თუ ევროპის სახელმწვფოები არ ჩაერევენ საქმეში, სპარსეთი მაინც თავს დააღწევს კრიზისს და მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდება. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ევროპის სახელმწიფოთა ჩარევაზე უკვე ხმები დადის. სპარსელები ძალიან ფხიზლად იქცევიან, აქამდის არც ერთი უცხო სახელწიფოს ქვეშევრდომი არ დაზარალებულა. მაგრამ გაუწევენ კი ამ გარემოებას რაიმე ანგარიშს ის სასელმწიფონი, რომელნიც მზად არიან ყოველ-გვარ—უთანხმოებით ისარგებლონ თავიანთ ავანტურისტულ გულის-ზრახვათ განსახორციელებლად?.. ვნახოთ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ახალი გზა“ ქალაქის თვითმმართველობას ეხება. ამასთანავე ყველაფერს თავისებურათა და ამასთანავე გაუგებრათა ხსნის. დიდი საკი-

თხი ეროვნულ ურთი-ერთობისა ქალაქის თვითმმართველობაში „ახალმა გზამ“ ერთობ გაამარტივა და ერთის ხელის მოქნევით გადასწყვიტა.

როცა ჩვენებური ჟურნალ-გაზეთები ადგილობრივ თვითმმართველობის საკითხს შეეხებიან,—სწერს „ახალი გზა“,—მაშინვე წინ წამოაყენებენ საკითხს თვითმმართველობის ეროვნულ შემადგენლობის შესახებ. იწყება დაუსრულებელი და გულის-გამაწყალებელი კამათი მაგ. იმაზე, რომ ტფილისი ქართველების ქალაქია, სომხები მოსული ხალხია, სტუმრებია და სხვ., რომ უკანასკნელნი ქალაქის საქმეებს თავის ვიწრო ნაციონალისტურ ინტერესების სასარგებლოდ სწყვეტენ, სხვა ერებს ჩაგრავენ და ყველა ამის დასასაბუთებლად მოჰყავთ ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა შტატის სტატისტიკა ნაციონალური შემადგენლობის მხრივ.

„ფაქტი უმეტეს შემთხვევაში სწორეთა ყოფილა აღნიშნული“, როგორც თვით “ახალი გზა“-ცა ბრძანებს, მაგრამ... გაზეთები მაინც სტყუიან. ნამდვილად თურმე ეროვნულ ურთი-ერთობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ქალაქში რომ სომხები არიან გაბატონებულნი, ფრიად შესამჩნევ ნაციონალისტურ პოლიტიკას რომ ეწევიან, ეს მართლა იმიტომ კი არა ხდება, რომ მათ ეროვნული საკითხი აინტერესებთ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ბურჟუები არიან.

მართლაც, ქალაქი სომხების ერთმუშა მდიდრებს უჭირავთ ხელში და ისინი განაგებენ მას თავის ნათესავ-მეგობართა ინტერესების სასარგებლოდ, მარა ამ ფაქტის ნამდვილ მიზეზების გამორკვევას და შესაფერ გზის ჩვენებას არავინ ფიქრობს. პირიქით, ამ ფაქტით თავის ნაციონალისტურ შეხედულებების დადგენილებების დადასტურებას ცდილობენ და ქალაქის მეურნეობაში ამ გაბატონებულთა თავისუფალ თარეშს ეროვნულ ელფერს აძლევენ. ასეთსავე ელფერს სდებენ მათ ხშირად თვით გაბატონებულნიც. მხოლოდ იშვიათად შეხვდებით წინააღმდეგ აზრს. ეს, ერთის შეხედვით, თითქო გასაკვირველი უნდა იყოს, მარა თუ მკითხველი დაუკვირდება, შენიშნავს, რომ ასეთი აქ არაფერია. პირიქით, უფრო გასაკვირველია, როცა აქ გაბატონებულთა შორის ანტინაციონალისტური მოტივი გაისმის, როცა ის თვალთმაქცობით არ არის გამოწვეული.

ქალაქის თვითმმართველობის დღევანდელ ბატონ-პატრონთ თურმე მარტო ბურჟუაზიული ინტერესები ამოძრავებს. დაჩაგრული ერებიც, რომელნიც ოპოზიციას შეადგენენ, მხოლოდ ბურჟუაზიულ ინტერესებით არიან გაჟღენთილნი. თვითეული მათგანი ცდილობს თავის ერის ყველა ელემენტები მიიმხროს, თავის გარშემო შემოიერთოს და „ამ საშუალებით თავის ბატონობა გააძლიეროს როგორც თავს, ისე ეცხო ერზე.

განსხვავება ამათში მხოლოდ ისაა, რომ ერთი მათგანი საქმეს სათავეში უდგას და ამ პოზიციის შერჩენას ცდილობს, მეორე კი ოპოზიციის სახით გამოდის და პირველთა ადგილის დასაჭერათ მიეშურება, მარა როგორც ოპოზიციონერი, ადვილად მალავს თავის ნამდვილ გულის-ნადებს, თავის ნაციონალისტურ მისწრაფებებს და ისე გვიჩვენება, თითქო დაჩაგრულთა უფლების აღდგენაზე ზრუნავდეს.

ერთის სიტყვით, სადაც ვითომ ეროვნული საკითხი არსებობს, იქ ფლიდობა და გაიძვერაობაა. სომხები მართლა ნაციონალისტურ პოლიტიკას კი არ ეწევიან, ბურჟუები არიან და, თუ ნაციონალურ სამოსელში ეხვევიან, მხოლოდ იმიტომ, რომ „ერის ყველა კლასები“ შეიერთონ.

ყველა ამ მოსაზრებით, „ახალ გზ.“-ს ქალაქის გადემოკრატება მიაჩნია საჭიროდ. გადემოკრატება კარგი რამეა. ჩვენც ძალიან დიდი მომხრენი ვართ ამ გადემოკრატებისა, თუნდაც იმავე ნაციონალურის მოსაზრებით, რომელიც თქვენ ასე ათვალისწუნებული გაქვთ, მაგრამ ამის გულისთვის ეროვნულ ინტერესების უარყოფა იქ, სადაც მეტად ცხადად სჩანს ეს ინტერესები, ჩვენ არ შეგვიძლიან ასე გადაფუჩეჩება საკითხებისა, ასე პოუფიქრებლად გადაწყვეტა ფრიად რთულ პრობლემებისა დიახაც რომ განცვიფრებაში მოიყვანს ყველა საქმეში ჩახედულ ადამიანს.

ნეტარება თქვენ დათქვენს დონ-კიხოტურ ფსიხიკას, რომ ცა ქუდათ არ მიგაჩნიათ და დედა-მიწა ქალამნად...

ᲓᲔᲙᲐᲔᲨᲔᲑᲘ

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

1—2 აგვისტო.

ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘ

თავრიზი. თავრიზში ფეხით დაბრუნდა ბაგირ-ხანის 50 მხედრი, რომელნიც თეირანში გაემგზავრნენ დაპატიმრებულ წინამძღოლის გასანთავისუფლებლად. ყველა ამათ იარაღი აჰყარეს, როდესაც თავრიზს უახლოვდებოდნენ ჟანდარმებმა ცხენები ჩამოართვეს და მთავრობას გადასცეს. ვაჭრები და ქალაქის თვითმართველობა შიშობენ კვლავ სიხარული გამოსთქვან სათარხანისა და ბაღირ ხანის დაპატიმრებაზე.

ურმია. ღამე ქალაქიდან 5 ვერსის მანძილზე სოფელ ბაბიკში მოჰკლეს ქურთი ყაჩაღი მირზა ქერვალი და 4 სხვა ყაჩაღი; რომელთაც მიიწიეს გლეხის ქალების გასაუპატიურებლად. მოკლული ყაჩაღი ზაფხულში დასახლდა ახლო სოფელში. ბეკზადეს ტომის ქურთები, რომელთაც ეკუთნოდა მოკლული ყაჩაღი, მიუცვივდნენ სოფელს, იერიშით მივიდნენ, სოფლელნი ქალაქისაკენ გაიქცნენ. მთავრობამ ცხენოსანთა რაზმი გაგზავნა ქურთების წინააღმდეგ, მაგრამ უკუქცეულ იქნა. ქურთებმა უმწეოდ დარჩენილ ქალებს ძუძუები დაუჭრეს, ცეცხლს მისცეს პური და მრავალი სახლკარი. მხოლოდ მაშინ შეჩერდნენ ქურთები, როდესაც სოფელში გუბერნატორის თხოვნით მივიდა ოსმალეთის ელჩი.

ქურთები თავს დაესხმნენ ვალიპადონსა და კარასანლის, რომელნიც ქალაქიდან 2 ვერსის მანძილზე მდებარეობენ. საშველად გამართული რაზმი გაიქცა-გამოიქცა. მოჰკლეს ქრისტიანი, დასჭრეს მხედარი. ვილონში მთლად დასწვეს პური. თავდასხმის ამბებმა მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინეს. მოქალაქეებზე. ბაზარი დაკეტილია. ვაჭრები ბესტმი ჩასხდნენ ჯუმა მეჩეთში და თხოულობენ დაუყოვნებლივ გაუქმებულ იქნას მეჯლისისა და ქალაქის თვითმართველობის მიერ დაწესებული გადასახადები მარილზე, ხორცზე და საამშენებლო მასალაზე.

თეირანი. ნეჯეფის მუშტეიდების დაჟინებით ძირითად კანონების თანახმად მეჯლისმა აირჩია 5 წევრი მუშტაიდი. ამათ თვალყური უნდა ადევნონ მეჯლისში გამცემელ კანონებს და უნდა შეუთანხმონ ეს კანონები შრიატს. ამორჩეულნი დღემდე საზოგადო და პოლიტიკურ საქმეებს გარეულ ედგნენ.

პოლიციამ გამოაცხადა, დიდს საჩუქარს მიიღებს, ვინც აღმოაჩენს სეიდა-აბდულის მკვლელებსაო. ეჭვი მიიტანეს, რომ მკვლელობაში მონაწილეობას იღებდა ბაბისტი ხაილხანი, რომელიც დაპატიმრებულ იქნა.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲓ

ბუენოს-აირესი. კლემანსომ, თავის მოხსენებაში „დემოკრატია და ომი“, სთქვა, რომ წინააღმდეგი შეიარაღების შესუსტებაზე კარგს სჩადიან ის ხელმწიფენი, რომელნიც მონაწილეობას არ იღებენ შეიარაღების შემცირების საკითხშიო. საჭიროა ზომები მივიღოთ, რომ ომი არ მოხდეს, მაგრამ უგუნურება იქნებოდა იარაღი აგვეყარა ეხლა, როდესაც ყველა იარაღდება ხმელეთზე, ზღვაზე თუ ჰაერში. ჩვენ არ ვფიქრობთ ვისმეს დაპყრობას, მაგრამ სახელმწიფოს ღირსება გვიკარნახებს შევიარაღდეთ და მუდამ მზად ვიყვნეთ თავი დავიცვათო.

ბერლინი. სარწმუნო წრეებიდან იტყობინებიან, რომ შესაძლებელია სახელმწიფოები არ ჩაერევნენ ოსმალეთ-ბოღგარეთის შუა მაკედონიის საკითხის გამო აღმოცენებულ უთანხმოებაში.

ვაშინგტონი. სეისმუროვმა აღნიშნა მიწის ძვრა რომელიც 23 წუთს გაგრძელდა.

კილი. ნავთსადგურზე გემების ამშენებელ სახელოსნოებში დაითხოვეს 3300 მუშა.

სტამბოლი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ტოვალ ბეიმ განუცხადა „იენი“ გაზეთის თანამშრომელს: მაკედონიაში მოგზაურობის დროს საჩივარი გამოაცხადეს იმ ძალადატანების გამო რომელიც ჩაუდენია ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენლებს. მინისტრს დაუვალებია საქალაქო საქმეთა ინსპექტორის ხაიჯარ ბეისათვის, სასტიკი გამოძიება მოახდინეო; ორი კომიკამი გადაყენებულ იქნა, ერთი ოფიცერი სამართალში იქნა მიცემული. მართალია, იყო კერძო შემთხვევები, რომ ოსმალეთის მთავრობის აგენტებმა ძალადობა ინმარეს, მაგრამ ბოლგარიის კომიტაჯიების მოღვაწეობა მეტად საზარალოაო, მთელი ხალხი დაშინებული ჰყავდა და იარაღის აყრას უკრძალავენო.

„ოსმანიშერ-ლოიდმა“ გამოაქვეყნა, რომ გუჩკოვმა პეტერბურგში ცუდი შეხედულება გამოსთქვა ოსმალეთის რეჟიმზე. გუჩკოვმა პეტერბურგში სწორედ იმის წინააღმდეგი ხთქვა, რაც სტამბოლში განაცხადაო. ამ წერილმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. სხვათა შორის მითხად ფაშის შვილმა. ალი-ხაიდარმა წერილი დაბეჭდა „იკდამაში“ და ურჩია მთავრობას, კავშირი დაეჭირეთ ავსტრო-ჰუნგრეთთან და გერმანიასთან, არიდეთ არა გულწრფელ რუსეთის პოლიტიკასაო.

ათინა. მიხეიკიდისმა უარი სთქვა ათინის პარლამენტში ყოველ ნაირ კანდიდატურაზე.

სან-სებასტიანი. პაპის წარმომადგენელმა ითათბირა გარეშე საქმეთა მინისტრთან. თათბირს გულწრფელი ხასიათი ჰქონდა. მინისტრმა სთხოვა წარმომადგენელს, მომიტანე დიპლომატიური ნოტაო.

ბერლინი. ბოლგარიის წარმომადგენელმა მიაქცია გერმანიის მთავრობის ყურადღება იმაზე, თუ რა ძნელ პირობებში ჩავარდა ბოლგარია, მაკედონიიდან ლტოლვილ ბოლგართა მიერ საზღვრის გადმოლახვის გამო. მაკედონიაში აწამებენ იმისთანებსაც, რომელთაც იარაღი არ უტარებიათ. ასეთი განცხადებით ბოლგარიამ მიმართა სხვა სახელმწიფოებსაც და არავითარი გადაჭრილი წინადადება არ მიუცია. გერმანიაში ფიქრობენ, რომ საქმე სხვის დაუხმარებლად მოგვარდება, ყველაფერი დამოკიდებულია ფერდინანდზე და მის მთავრობაზე.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

კიშინიოვი. ბელეცკის მაზრაში დიდი ნიაღვარი იყო და მოედო 50 ვერსის მიდამოს. ხევები დიდ მდინარეებად გარდაიქცნენ, სოფლები წყალმა მოიცვა. დაიღუბა მოსავალი, საქონელი დაახრჩო, ორ სოფელში რამდენიმე ადამიანიც იმსხვერპლა.

დონის როსტოვი. კავკავის რკინის გზაზე სადგურ კაიალაზე ბარგის ორი მატარებელი ერთი-მეორეს დაეჯახა. თოთხმეტი დატვირთული ვაგონი ნაფოტებად იქცა. დაშავდნენ ორთქლმავალისა და მატარებლის მოსამსახურენი.

კამენეც-პოდოლსკი. ელგბელის საპატიმროდან გამოძიების ქვეშ მყოფმა ორმა ტუსაღმა გაქცევა დაიპირა. დაახრჩეს საპატიმროს ერთი ზედამხედველი, მეორე ჭრილობა მესამე მძიმედ დასჭრეს. ერთმა ტუსაღმა ტყვია დაირტყა, მეორეც შეეცადა თავის მოკვლას მაგრამ ამაოდ.

უფა. ცხრა სოფელში დაიწვა 229 გლეხის სახლკარი—ყველა შენობებითა და მოძრავ ქონებით. დაიწვა დიდძალი შინაური ოთხფეხი საქონელი, ბელელი, სოფლის სკოლა, ღვინის სახაზინო დუქანი და პოლიციის ჩაფრების ბინები.

პეტერბურგი. სენატმა გააუქმა ვარშავის სამოსამართლო პალატის განაჩენი პოლონეთის სოციალისტთა პარტიის 19 წევრის შესახებ. ყველა ამათ გადაწყვეტილი ჰქონდა—1 ორი წლით ციხეში დაპატიმრება, 14 სამუდამო გადასახლება, 4 კატორგა სხვა და სხვა ვადით.

მოსკოვი. შეუდგენ 1812 წლის სანახსოვროდ მუზეუმ ნიშის აგებს. შენობას აგებენ კუტუზოვის ქუჩის ადგილზე.

ლოძი. კონსტანტინეს ქუჩაზე დაიწვა ფაბრიკის მთავარი შენობა, სამი საქსოვი განყოფილება, საზეინკალო, და ორი საფეიქრო ზარალი 200.000 მან.

პეტერბურგი. ნიკოლაევის რკინის გზის ნავთსადგურის შტოზე, ვოლკოვის სადარაჯოსთან ერთი მეორეს დაეჯახა ორი მატარებელი მიზეზი მეისრის შეცდომა იყო, ისარი ისე გადაეწია, რომ ორივე მატარებელი ერთსა და იმავე ლიანდაგზე მიდიოდნენ. მესამე მატარებელი გზას უჭრიდა. დაიღუბა შვიდი კაცი, კონდუქტორთაგან 35 ვაგონი და ორი ორთქლმავალი ლიანდაგიდან გადავარდა.

ᲮᲝᲚᲔᲠᲐ

პეტერბურგი. ხოლერით ავად გახდა 62, გარდაიცვალა 30, ავად არის 849 ქალაქს ახლა ავად გახდა ერთი, სულ ავადაა 28.

გუბერნიები მაგალითისა, ვოლინისა, ხარკოვისა, ორლოვისა, კურსკისა, ვორონეჟისა, ბენზენისა, იაროსლავლის. კოსტრომისა, ვიატკისა, უფისა, ენერბურგის, ტავრიდისა, თერგის ოლქი, დადესტნისა, კრონშტადტი, ბერანი, სუვასტოპოლის საგრადონაწალნიკო, აკერმანი და სხვა. ხოლერის მხრივ არასაიმედოდ იქმნენ გაჩინცხადებული, ხოლო ნოვგოროდის, თერგისა, ქუთაისი.

ᲮᲝᲚᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

ერთ უსასტიკეს მტერად ადამიანისა უნდა ჩაითვალოს ის საშინელი სენი, რომელიც წელს ეწვია საქართველოს და რომელსაც ხოლერას უწოდებენ. ხოლერა გადამდები და მოარული სნეულებაა, მოულოდნელად ჩნდება ამა თუ იმ ადგილზე, ერთ და იმავ დროს მრავალ სხვა და სხვა პირთ ემართება და მოკლე ხანში ბევრს მათგანს უსპობს სიცოცხლეს. უმთავრეს ნიშნებს ამ საშინელ სნეულებისა წარმოადგენს: პირსაქმება, ტანსაქმება, ხელ-ფეხის გაცივება, კუნთების ტკივილი და კრუნჩხვა და საშინელი სისუსტე. ამ ნიშნებში უმთავრესი მნიშვნელობა სისუსტეს აქვს და ხოლერით ავადმყოფის სიკვდილის მიზეზი სწორედ რომ ეს საშინელი სისუსტეა.

ხოლერის არსებობა დიდი ხანია რაც იცოდა კაცობრიობამ, მაგრამ წარმომშობი მიზეზი ამ სნეულებისა სულ 30 წელი არ არის, რაც იქმნა გამორკვეული.

ყოველი გადამდები სნეულება გამოწვეულია ერთგვარ მეტად პატარა არსთა მიერ, რომელთა დანახვა მხოლოდ მიკროსკოპით შეიძლება და რომელთაც მიკრობებს უწოდებენ. ყოველ გადამდებ სნეულებას იწვევს განსაკუთრებული მისთვის სპეციფიური მიკრობი. ცხადი იყო, რომ ხოლერასაც თავისი მიკრობი უნდა ჰყოლოდა. საჭირო იყო მხოლოდ მისი აღმოჩენა. მეცნიერებმა დიდი ყურადღება მიაქციეს იმ მოვლენას, რომ ხოლერით ავადმყოფს საშინელი პირსაქმება და ტანსაქმება აქვს ხოლმე. მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში ხოლერიან ავადმყოფს შესაძლებელია პირსაქმება ან ტანსაქმება სრულიადაც არ ექნეს, მაგრამ ეს შედარებით ძლიერ ძვირად მოხდება ხოლმე. ამიტომ აზრი დაიბადა, რომ შესაძლებელია განავალში ან ნაღებინებში აღმოჩნდეს წარმომშობი მიზეზი ამ სნეულებისა. 1883 წ. გერმანიის მთავრობამ გაგზავნა ეგვიპტეში, სადაც ამ დროს ხოლერა მძვინვარებდა, ამ სენის შესასწავლად სამეცნიერო ექსპედიცია და ამ ექსპედიციის სათავეში დააყენა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ ცნობილი მეცნიერი, ნიჭიერი პროფესორი რობერტ კოხი. კოხიც სწორედ იმ აზრს დაადგა, რომ ხოლერის წარმომშობი მიზეზი ან განავალში და ნაღებინებში უნდა აღმოჩნდეს ან და კუჭში და ნაწლევებში და დაიწყო მათი გამოკვლევა მიკროსკოპით. მართლაც ეს აზრი სწორი გამოდგა და კოხმა აღმოაჩინა ხოლერიანის განავალში მიკროსკოპით, რომელიც ათასჯერ ადიდებდა საგანს, მრავალი პაწაწა მიკრობები, რომელნიც ძლიერ მოძრაობდნენ და რომელთაც გარეგნულად მძიმეს (,) შეხედულობა ჰქონდათ. ამიტომ კოხმა მათ ვიბრიონები დაარქვა. (ლათინურად vibrio ნიშნავს მძიმეს) კოხმა განაგრძო თავისი შესამჩნევი გამოკვლევანი და ყოველთვის ყოველ ხოლერიანი ავადმყოფის განავალში აღმოჩნდებოდა ხოლმე ეს ვიბრიონი. აღმოჩნდა აგრეთვე ვიბრიონი ნაწლევებშიაც; კუჭში და პირნასაქმებში კი ვიბრიონი ყოველთვის არ აღმოჩნდა.

ამის შემდეგ კოხმა ხელოვნურად გაკეთებული საკვებზე გადაიტანა ვიბრიონები. და ამ საკვებზე ვიბრიონები გამრავლდნენ. საჭირო იყო მხოლოდ იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ხელოვნურ საკვებზე გაზრდილი ვიბრიონები მართლაც რომ იწვევენ ხოლერას, რომ ასეთი ვიბრიონების გადაყლაპვის შემდეგ ადამიანს ან რომელიმე ცხოველს ხოლერა გასჩენოდა. კოხმა ასეთი ცდაც მოახდინა: ხელოვნურად გაზრდილი ვიბრიონები ჩააყლაპა კატის კნუტებს და კურდღლის ბაჭიებს და ამგვარად მათ გაუჩინა ხოლერა ადამიანზედ კი ასეთ ცდის მოხდენა მეტად პასუხსაგები და ძნელი იყო, მაგრამ აქ ერთმა შესამჩნევა შემთხვევამ ხელი შეუწყო კოხს.

ცნობილ ჰიგიენისტს, პროფესორ პეტენკოფერს სურდა დაერღვია კოხის აზრი შესახებ იმისა, რომ ვიბრიონებია ხოლერის წარმომშობი მიზეზი, და ამ მიზნით მან და მისმა ასისტენტმა ექიმმა ემერიხმა მიიღეს—პირველმა ერთი კუბიკური სანტიმეტრი, მეორემ კი (ემერიხმა) ერთი მეათედი კუბიკურ სანტიმენტრისა. ხელოვნურად აღზრდილ ვიბრიონებისა. პეტენკოფერს არაფერი არ დამართნია, მაგრამ ემმერიხს სასტიკი ხოლერა აღმოაჩნდა და კინალამ მსხვერპლადაც შესწირა თავი მეცნიერულ კვლევა-ძიებას.

ამ გვარად დღეს-დღეობით კოხის აზრი სავსებით დამტკიცებულია და ყველას მიერ მიღებული, რომ ხოლერის წარმომშობი მიზეზი სწორეთ რომ ვიბრიონებია.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ხოლერის ვიბრიონები მხოლოდ განავალში ან და პირნასაქმებში არიან, განავალი და პირნასაქმები კი ისხმება ან წყალში ან და მიწაზე. იმავე კოხმა მრავალი გამოკვლევის საშუალებით დაამტკიცა, რომ ვიბრიონები განაგრძობენ სიცოცხლეს და გამრავლებას ნიადაგში, ზოგიერთ საგნებზე და წყალში გამრავალებისათვის ვიბრიონებს სჭირიათ მყავბადი, შესაფერი სითბო და საკვები მასალა—სხვა და სხვა გვარი გახრწნილი ნივთიერებანი. ძლიერ სწყენს ვიბრიონებს მზის სხივები და გახმობა. ტილოზედ რომ ხოლერიანი ავადმყოფის განავალი დააცხოთ და მზის სხივებზე გასდოთ—ხოლერის ვიბრიონები იხოცებიან 1/2 საათის განმავლობაში. ისეთივე ტილო რომ ქარზე გადოთ ისეთ ალაგას, სადაც მზის სხივები არ არის, იქაც ვიბრიონები 1 ან 2 საათის განმავლობაში იხოცებიან. ამიტომ ხოლერობის დროს მტვერში ხოლერის ცოცხალი ვიბრიონები არ მოიპოვებიან. საუკეთესო ტემპერატურა ხოლერის ვიბრიონებისარვის არის 36⁰—37⁰ ე. ი. ადამიანის სხეულის ტემპერატურა. 16⁰ უფრო დაბლა ვიბრიონები ველარ მრავლდებიან, მაგრამ არც იხოცებიან და გაყინვასაც თავისუფლად იტანენ, თავს ინახვენ, თითქოს სძინავთ, და რაგორც სასურველ ტემპერატურას იშოვნიან ისევ დაიწყობენ გამრავლებას. ძლიერი სითბო კი სწყენთ ვიბრიონებს: 60⁰ ჰკლავს ვიბრიონებს 30 წუთში, 80⁰—5 წუთში,—100⁰ კი—იმწამსვე.

რადგანაც ჩვენში ყველა საუკეთესო პირობა არ არის ხოლერის ვიბრიონის საცხოვრებლად, ამიტომ საქართველოში და აგრეთვე რუსეთში და ევროპაში ხოლერა მუდმივი მოვლენა არ არის. ის მხოლოდ დრო გამოშვებით ესტუმრება ხოლმე ჩვენს ქვეყანას, მუდმივად კი ის მძვინვარებს აღმოსავლეთ ინდოეთში, ბენგალიაში, ერთ დიდ მდინარეს განგეს ნაპირებზე, სადაც ხოლერის ვიბრონისაივის საუკეთესო პირობებია საცხოვრებლად და გასამრავლებლად. მართლაც, მდინარე განგეს მრავალი შტოები აქვს ერთი—ერთმანერთთან გადახლართული, და მისი ნაპირები მდიდარი მცენარეულობით არის შემკული. ამ ქვეყანაში საშინელი წვიმები იცის, ამ წვიმებს. კი საშინელი სიცხე ახლდევს. ნიადაგი ნოტიო და გახრწნილ ნივთიერებებითაა გასუქებული. აი სწორედ აქ ბინადრობენ მუდმივად ხოლერის ვიბრიონები, აქ მუდმივ მძვინვარებს ხოლერა, როგორც ჩვენში ციებ-ცხელება, და აქედან გადადის ხოლმე სხვა ქვეყნებში ან ზღვით, გემების საშუალებით, ეგვიპტეში და ევროპაში, ან და უფრო ხშირად ხოლერა რუსეთის შუა-აზიის ქვეყნებზე გადავლით ჯერ რუსეთსა და კავკასიის ესტუმრება და შემდეგ ევროპაშიც გადადის.

პირველი მიზეზი ხოლერის გაჩენისა სხვა ქვეყნებში გარდა ინდოეთისა, არის ხოლერიანი ავადმყოფი, რომლის განავალში მრავალი ვიბრიონია ხოლერისა. მაგრამ გარდა ხოლერიან ავადმყოფისა, ხოლერის ვიბრიონები ისეთ ადამიანთა განავალშიდაც შეიძლება იქნეს, როგორც ეს ეხლა გამოკვლეულია, რომელთაც დიდი ხანი არ არის რაც გადაიტანეს ხოლერა ანდა სრულიადაც არ სჭირებიათ ხოლერა. ამ უკანასკნელ ხანში გამოირკვა, რომ ზოგიერთ პირთა ნაწლევებში შეიძლება ხოლერის ვიბრიონები სცხოვრობენენ, მაგრამ ხოლერა კი ვერ გამოიწვიონ. მაგრამ ასეთი შემთხვევა შედარებით მაინც ძვირია.

როგორც ჩვეულებრივ განავალს, აგრეთვე ხოლერიანის განავალსაც გადაღვრიან პირდაპირ მდინარეში, სადაც-კი მდინარე არის. ამგვარად ხოლერის ვიბრიონები უკვე პირდაპირ მდინარეში მოჰყვებიან ხოლმე. იმ შემთხვევაშიაც, როცა ხოლერიანის განავალს მიწაზე ან ორმოში გადაასხამენ ხოლმე, სითხესთან ერთად ხოლერის ვიბრიონებიც გადადიან ნიადაგის წყალში და აქედან კი ჭებში და მდინარეში. ამგვარად სასმელ წყალში შეიძლება მოჰყვნენ ხოლმე ხოლერის ვიბრიონები ამის შემდეგი კი ის არის, რომ ხოლერის ვიბრიონები საჭმელ-სასმელთან ერთად შესაძლებელია ადამიანის კუჭში ჩავიდნენ და აქედან გადავიდნენ ნაწლევებში. ეს ვიბრიონები იწყებენ საშინელ სისწრაფით გამრავლებას, ისეთის სისწრაფით, რომ ერთი ვიბრიონიდან ერთი საათის განმავლობაში შესაძლებელია ერთ მილიონზედ მეტი გახდეს

ხოლერის ვიბრიონს ადამიანის სხეულში ძხოლოდ პირიდან შეუძლია ჩავიდეს. სხვა გზას მას არა აქვს. ადამიანის ნაწლევებში ხოლერის ვიბრიონები იმუშავებენ ერთგვარ შხამს (ტოქსინს), რომელსაც ხოლერის ტოქსინს უწოდებენ და რომელიც იწვევს ყველა ნიშნებს ხოლერისას. ნაწლევებიდან ეს შხამი გადადის სისხლში და სწამლავს ადამიანს. თვით ვიბრიონები კი არც სისხლში და არც სხვა რაიმე ორგანოში ადამიანის სხეულისა არ მოიპოვება. დამტკიცებულია აგრეთვე, რომ ჰაერიდან სასუნთქი ორგანოთა საშუალებით ხოლერით ავად გახდომა ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ შეიძლება ერთ ოთახში იყვეთ ხოლერიანთან, ისუთქოთ იქ ჰაერი და მაინც არაფერი არ დაგემართოთ. საჭიროა მხოლოდ განავალის და პირნასაქმების გაფრთხილება, აგრეთვე გაფრთხილება გასვრილ საგნებისა. საშინელი და პედანტიური სისუფთავეში უნდა შეინახოთ თქვენი თავი და განსაკუთრებით ხელები. თვით ავადმყოფს ან გასვრილ საგანს ტანისამოსით არ უნდა მიეკაროთ და თუ მიეკარეთ დეზინფექცია უნდა გაუკეთოთ. აგრეთვე ხელი თუ მოჰკიდეთ მაშინაც დეზინფექცია უნდა გაიკეთოთ. ამ შემთხვევაში გადადების შიში არ არის.

ექიმი შ. მიქელაძე.

(დასასრული იქნება)

ნისა, სმოდუნსკისა, თურდასა ია[illegible]ნის ოდქებში მდინარე ვოდგა რიბინსკიდან ნაგვარდამდე და კამა, ვიატკა, ბელაია და ვეტ[illegible]—ხოდერის მხრივ სიშიშოდ.

სააგენტომ მიიდო ტნობები, რომ ერთი კვირის განმავლობაში ხოდერით ავად გამხდარა და შომკვდა: ვოზნესენსკის -ტანიცში ავად გახდა 27, გარდაიცვალა 18 კაცი, ყარსში ავად გახდა 56, გარდაიცვალა 30. ოდქში ავად გახდა 118, გარდაიცვალა 50 კაცი, კერჩში ავად გახდა 50, გარდაიცვალა 26, კიევში ავად გახდა 44, გარდაიცვალა 15, გუბერნიაში ავად გახდა 135, გარდაიცვალა 45, კასტრომაში—ავად გახდა 1000 კაცი, გუბერნიაში 933, მოკიდიოვის გუბერნიაში ავად გახდა 56, გარდაიცვალა 29, ნოვგოროდისაში—101 კაცი, გარდაიცვალა 26, ოდესაში ავად გახდა 70, გარდაიცვალა 31; ორდოდში ავად გახდა 225, გარდაიცვალა 103, მოსკოვის გუბერნიდან დღემდე ავად გახდა 591, გარდაიცვალა 256 კაცი ტენაზაში ავად გახდა 39, გარდაიცვალა 13, გუბერნიაში ავად გახდა 486, გარდაიცვალა 181, დონის როსტოვის საგრადონაჩალნიკოში ავად გახდა 79, გარდაიცვალა 20, სამარაში 135, გარდაიცვალა 72, გუბერნიაში ავად გახდა 1407 კაცი, გარდაიცვალა 512, სანკტპეტერბურგში ავად გახდა 17, გარდაიცვალა 10, სიმბირსკში ავად გახდა 46, გარდაიცვალა 23, გუბერნიაში ავად გახდა 531, გარდაიცვალა 232, სიმფეროპოლში ავად გახდა 53, გარდაიცვალა 26, ტამბოვის გუბერნიაში ავად გახდა 942, გარდაიცვალა 412, ტფილისში ავად გახდა 39, გარდაიცვალა 15, გუბერნიაში 58, გარდაიცვალა 23, ტულის გუბერნიაში 21, გარდაიცვალა 8, ხოდერის გაჩენიდან 143, გარდაიცვალა 58, ავად არის 47; ხარკოვში ავად გახდა 31, გარდაიცვალა 9, ავად არის 14. ცარიცინში ავად გახდა 48, გარდაიცვალა 18, ავად არის 18, ხოდერის გაჩენიდან 358, გარდაიცვალა 162, ირბოსლავში ავად არის 131, გარდაიცვალა 63, ბაქოში 206, გარდაიცვალა 74, მოზდოკ 84 დღე დამეში ტგერძადში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1, კოში 27 ივლისს ერთი შემთხვევა იყო, ხოდერიანი გარდაიცვალა კიშინევში სამი შემთხვევა იყო. კრონშტადში ავად გახდა 9, მოსკოვში 39 და 31 ივლისს ავად გახდა 6, გარდაიცვალა 4, ავად არის 12, გუბერნიაში ავად გახდა 18, გარდაიცვალა 9. ომსკში ავად გახდა 9 კაცი. იყო შემთხვევები სოფლის ახლო მდებარე სოფელში 2, უფაში 4, გარდაიცვალა 3, ავადია 8. კრასნოიარსკში გარდაიცვალა 1, კალუგაში ერთი ოვის განმავლობაში ავად გახდა 15, ვოლოგდის გუბერნიაში 101, გარდაიცვალა 33, სოფ. სკვორეჩნოში, ნიჟნე-დომოვის მაზრაში ავად გახდა 7, გარდაიცვალა 3, ტაგანროგში ხოდერის გაჩენიდან ავად გახდა 527, გარდაიცვალა 299, ავადა. 32, ანანიევის მაზრაში ხოდერა მეტად მძვინვარეს. ავად ხდებიან ნრკინის გზით მუშები და ტუსაღები. ოდესაბაჩის რკინის გზაზე დროებით მუშაობა შესწყდა.

ხოდერით ავად გახდა პეტერბურგში 53, გარდაიცვალა 31, ავად არის 855, სევასტოპოლში ხოდერის გაჩენიდან ავად გახდა 68, გარდაიცვალა 38, ავადა 14.

ბევრ ადგილებში ზომები იქნა მიღებული ხოდერის წინააღმდეგ, გამოიცა სავალდებულო დადგენილებანი და სხვა.

ახალი ამბები

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ მისიონერ პლატონოვის დაბრუნება. ყაზანიდან ტფილისში უკვე დაბრუნდა მისიონერი ა. ი. პლატონოვი, რომელიც მისიონერთა კრებას დაესწრო. კრებას მოუწონებია ა. პლატონოვის მოხსენება კავკასიაში სამისიონერო საქმის მოწესრიგების შესახებ და უწ. სინოდისთვის წარუდგენია დასამტკიცებლად. პლატონოვის მოხსენება უმთავრესად შემდეგ საყურადღებო მუხლებს შეიცავს: 1) გამრავლებულ იქმნეს მისიონერთა შტატი კავკასიაში, 2) მოემატოს ჯამაგირი იმ სასულიერო პირთ, რომელნიც არა რუსთა მრევლში მსახურობენ და 3) გაიხსნას სამხრეთ ოსეთში სამასწავლებლო სკოლა არა რუსთა სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად.

✦ ხოლერიანთა რიცხვი. სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 1 აგვისტოს დილის 9 საათიდან 2 აგვისტოს დილის 9 საათამდე ხოლერით ავად გახდა ტფილისში 3 კაცი, ხოლერის ნიშნებით—2. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო—32, მოემატა 6, მორჩა და გამოეწერა—2, დარჩა 36.

31 ივლისის დილის 9 საათიდან 1 აგვისტოს დილის 9 საათამდე ავად გახდა ხოლერით 3 კაცი, ხოლერის ნიშნებით—1; ხოლერიანთა სამკურნალოში იყო—37 ავადმყოფი, მოემატა 1, მორჩა და გამოეწერა—6, დარჩა 32.

✦ ხოლერა მთიულეთში. როგორც გვატყობინებენ, მთიულეთში ხოლერა მძვინვარეს. დღეში 8—9 კაცი ხდება ავად და მეტი წილი კვდება. საკმაო სამკურნალო დახმარება აქ არ მოიპოვება ხალხი ძალზე შეშინებულია და ზოგი ტყეებში იხიზნება და ზოგი სად. საჭიროა დაუყოვნებლივ იქმნეს მიღებული ზომები სენის წინააღმდეგ, თორემ დღევანდელ პირობებში შესაძლებელია ხოლერამ მთლად მუსრი გაავლოს აქაურ მცხოვრებთ.

✦ ახალი ბაღი. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა კახეთის ქუჩაზე (ავლაბარში) ბაღი გააშენოს. ბაღის გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა ქალაქის გამგეობამ საალმშენებლო განყოფილებას მიანდო.

✦ ახალი რუსული გაზეთი. ალითია პეტრეს ასულმა გრიცაენკომ ტფ. გუბერნატორს სთხოვა ნება დართოს, რომ ტფილისში რუსულ ენაზე გამოსცეს ყოველდღიური რუსული გაზეთი „ტფილისის გაზეთი—კოპეიკი“.

✦ ცოლის დაჭრა. ტფ. მოქალაქე გეორგ ალაჯანოვმა ბაკურიანის ქუჩაზე, ავლაბრის ხიდთან თავის ცოლს ბარბარეს მარჯვენა ფერდში დანა ჩასცა და მიიპალა. ალაჯანოვი მეიპყრეს. მან განაცხადა, ცოლის დაჭრის მიზეზი ოჯახური უთანხმოებაა.

✦ ქართულ დრამატიულ საზოგადოებაში. როგორც გადმოგვცეს, ქართულ-დრამატიულ საზოგადოების გამგეობას განუზრახავს მომავალ სექტემბერში მოიწვიოს საქართველოს დრამატიულ საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება.

✦ გადასახლებულის შეპყრობა. 31 ივლისს, პუშკინის ქუჩაზე პოლიციამ შეიპყრო ტფ. მცხოვრები გრიგორ გასპაროვი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

✦ მკვლელობა სიღნაღში. როგორც გვატყობინებენ, ამ დღეებში სიღნაღის კლუბში მოუკლავთ თავადი ივანე რევაზის ძე ვაჩნაძე. დაწვრილებით ცნობები ამ მკვლელობისა ჯერ არ მიგვიღია.

✦ ტფ. საქალებო მეორე გიმნაზია. გამოსაცდელი და დამატებითი გამოცდა დაიწყება 23 აგვისტოდან. მისაღები გამოცდა დაიწყება 24 აგვისტოდან. მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე კლასში წელს ვაკანსია არ არის.

✦ ხოლერა. 31 ივლისს ტფილისში, პოლიციის ცნობით, ავად გახდა 5 კაცი მათი გვარები: 1) ხატინა დელანოვისა (გარდაიცვალა), 2) ანნა კოლკაშვილი, 3) მარიამ კოლჩაჩიანცი, 4) ელისაბედ ვასილიევისა (გარდაიცვალა) და 5) ბრიელ ბრიხანი. ავადმყოფთა ბინებს შესაფერი დეზინფექცია გაუკეთეს.

✦ მეხუთე სავაჟო გიმნაზიის შენობა. ტფ. მეხუთე სავაჟო გიმნაზიის შენობის აგებას უკვე შეუდგენენ. შენობა პირველ ოქტომბრისთვის დამთავრებული იქმნება.

✦ თხინვალის ქუჩაზე. ტფ. გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავის მოუადგილეს ზომები მიიღოს თხინვალის ქუჩის გასასუფთავებლად იმ სილისა და ქვებისაგან, რომელიც ჩამოტანილი იქმნა ამ ქუჩაზე მაისის ნიადვრების დროს.

✦ უპასპორტონი. საერთო ჩხრეკის დროს ქალაქის სხვა და სხვა უბანში პოლიციამ შეიპყრო: 31 ივლისს—32 უპასპორტო, ხოლო 1 აგვისტოს—76.

✦ თავდასხმა და მკვლელობა. სად. სკრიდან გვატყობინებენ 31 ივლისს საღამოს 9 საათზე სადგურ. სკრაზე მოვიდნენ ვიღაც ათამდე შეიარაღებულნი, მოითხოვეს ფული მაგრამ რადგანაც ფული არ აღმოჩნდა მოჰგლიჯეს ტელეფონი და წავიდნენ სოფელში, სადაც მოჰკლეს ორი ძმა ქოქაშვილები.

✦ ქალაქის გამგეობის წევრის დაბრუნება. უკვე დაბრუნდა კისლოვოდსკიდან ტფ. ქალაქის გამგეობის წევრი ნ. პ. ქოქჩაევი და თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

✦ სამართალში მიცემა. ტფ. საგუბერნიო სამმართველოს დადგენილებით, სამართალში იქმნა მიცემული ბოქაულის ყოფილი თანაშემწე ივ. ვატანოვი 1908 წელს 898 მ. 18 კაპ. გაფლანგვისათვის.

✦ სასინოდო კანტორამ მიიღო უწმინდესი სინოდისგან ბრძანება იმის შესახებ, რომ მდგედელ ვდდ. გრძელდიშვილს კვლავ დაბრუნდეს მდგედელმოქმედების უფლება. სრულიად მიეცეს სამოდის ქარხნიდან ჯამაგირი იმ დროდან, როდესაც იგი სამსახურიდან იქმნა გადაყენებული.

✦ 31 იულისს ედისაბედის ქუჩაზე ეთოვეს მიგდებული ბავშვი ოდგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

✦ 27 ივლისს დილის 12 საათზე ტფილისიდან მე-50 ვერსზე იპოვეს მოკლული კაცის გვამი, რომლის ვინაობა არ იცინან.

პატარა ფელეტონი

როგორ ივსება ქართული თეატრი

მთელი დღე სიცხემ ისე დამაბრუა, რომ ქართულ თეატრის მოურწყავ ბაღსაც კი შეეძლო ცოტა რამ შვება მოენიჭებინა და გავეშურე იქითკენ.

მოწყენა კიდევ სიცხეზე უარესი ყოფილა და ერთი საათი რომ მაინც განვთავისუფლებულვიყავ მისგან, ჭიდაობაზეც კი დავერიდებოდი შესვლას.

მივიდი კასასთან.

გარშემო ოც კაცამდის ეხვია და მეც ჯერს დავუწყე ცდა.

ვხედავ, რომ ეჭვით ჩაგეცინათ: ოცი კაცი ერთად... ქართული თეატრის კასასთან... ბილეთების ასაღებად... წარმოუდგენელია!)

არა, გარწმუნებთ კაცი კი ოცი იყო, მხოლოდ ბილეთების მაგიერ კონტრამარკებს იღებდნენ. ყველანი თურმე ქართული სცენის მოღვაწენი ყოფილიყვნენ.

წინ ორმა ქალმა გამიარა და გასწიეს ბაღისაკენ.

პირველი ქალი. დაიცა, სად მიხვალ, ბილეთები ავიღოთ!

მეორე ქალი. რად გვინდა ბილეთები?

პირ. ქალი. მაშ ისე როგორ იქნება?

მეორე ქალი. აკი გითხარი პოლიციელი მყავს მეთქი ნაცნობი და ის გაგვიშვებს.

პირ. ქალი. ეს ცოტა უხერხულია.

მეორე ქალი. რად არის უხერხული, მე ყოველ ღამე ეგრე დავდივარ. ჩვენი მეზობელი ქალებიც გავაცანი და ისინიც დამყვანან ხოლმე ხშირად.

კასას არც კი მიჰხედეს გვერდზე და ისე გაიარეს.

მარჯვეთ მოჰქრის სამი ბანოვანი, სამივე კოხტად გამოწკეპილი.

პირ. ბანოვანი. მოიცათ, მოიცათ, კონტრამარკები ავიღოთ ბატონო!

მეორე ბანოვანი. რად გვინდა კონტრამარკები! ეალიკოს ისე კი არ ვიცნობ!

ისინიც გაჰქრნენ ბაღის წიაღში.

როგორც იქმნა ველირსე ჯერს, მივიღე ბილეთი და გავშორდი კასას. ჩემს უკან უკვე „სცენის მოღვაწეთა“ მეორე პარტია დაგროვილიყო.

მათში იყვნენ პილტცერის დასიდან კონტრაბანდად დარჩენილი არტისტები, ქართველი მსახიობნი იმავე ხარისხისა და სრვა კიდევ, ვისაც სცენაზე ფეხი შეუდგამს (სულ ერთია მარჯვენა თუ მარცხენა) და ან აპირებს როდესმე შედგმას.

ეჰ, ღმერთმა მშვიდობა მისცეთ.

მოწმეა თვით ალლახი, რომ მე საგანგებოდ ყურს არავის არ ვუგდებდი; თვითონ მეჩხირებოდენ თვალში და მეც ვიდრე არ დავბრმავებულვარ უნდა დავინახო, მეტი ჯანი არ არის.

დაიწყო ჭიდაობა.

ყველა გაეშურა თეატრისკენ.

თეატრის კარებში ერთ წყებად დგანან „კაპელდინერები“, მეორედ—პოლიციელები, მესამედ—დრამატიულ საზოგადოების კანტროლიორები, მეოთხედ—სადეპუტატო საკრებულოს კანტროლიორები.

უეცრივ ყველა მოწიწებით ჩამოდგენ განზე. ორი ქალი თავისუფლად შებრძანდა თეატრში.

ძალა-უნებურად ყურადღება მივაქციე ასეთ „პარადს“ და ჩუმად დავეკითხე ერთ ერთ კარებში მდგომს:

— ესენი საიდან მოვიდენ?

— აქაურები არიან.

— მაგათაც მოსკოვში გაათავეს ღრამატიული კურსები? მომავალ სეზონში არიან ჩაწერილი?

— რა კურსები, რის სეზონი?— ეგენი აი, იმ პოლიციელის ნაცნობა ქალები არიან.

— ყოველ ღამე დადიან?

— ყოველ ღამე.

— ნეტავი მაგათა, ყოველ-ღამ მუქთი თეატრი ქონიათ.

შემოვიდენ კონტრამარკები, კიდევ კონტრამარკები. თან მოჰყვა ერთი-ორი ბილეთიც.

ერთი ბილეთიანი. რა კაცი ვარ ეს ოხერი! ყველა ახერხებს ამ ოხერს კონტრამარკის აღებასა და მე კი ერთი ნაცნობი ვერავინ გავიჩინე, რომ გადავრჩე ამ ერთ-ორ აბაზის ხარჯას.

მივუბრუნდები მეორე ბილეთიანს:

— თქვენ რაღად გიყიდიათ ბილეთი?

— არც მე მყავს ვინმე ნაცნობი და მაშ რა ვუყო!

ამ დროს ხმა-მაღლა ლაპარაკი მომესმა ქვედა კარებიდან.

ძალა-უნებურად დავინტერესდი ყველა ამ სანახაობით და ახლა იქითაც გავეშურე, იქნება მენახა რამე საინტერესო.

მივედი.

სამი ბანოვანი აღელვებითა ჭიკჭიკავდენ საკოდავ მეკარეს, რომელსაც შიშისაგან ენა დაბმოდა.

— შენ როგორა ჰბედავ, რომ ბილეთსა გვთხოვ?

— მე კონტრამარკასა გთხოვთ, ბატონო!

— ან კონტრამარკას როგორა ჰბედავ? იმდენად გამოჩერჩეტებული როგორა ხარ? განა ალარ გახსოვს, რომ გუშინ სეირნობა ჩვენ გავმართეთ; ვერა ჰხედავდი, რომ ყვავილებს სულ ჩვენა ყიდდით?

გაცხარებული სადღაც გაიქცა.

მე გადავსწყვიტე გუნებაში, რომ უეჭველად ბოქაულს დაეძახებს მეთქი და დავემზადე საბრალო მეკარის დასაცავად ერთი-ორი სიტყვა მაინც მეთქვა.

დაბრუნდა ბანოვანი და თან მოიყვანა ვალერიან გუნია.

მეკარე პატივისცემით ჩამოეცალა.

პირველი ბანოვანი მიუბრუნდა გუნიას და უჩვენა ერთ უცხო ქალზე.

— ვალიკო! ბარემ ესეც შემოვიდეს, ერთადა ვართ.

— მიბრძანდით ბატონო, მიბრძანდით!

მივბრძანდით ყველანი.

შევხედე თეატრი უკვე გავსებულიყო და რადგან ელექტრონი ჩამქრალი იყო, ვიღაც ვამჩნევდი თუ თეატრის სკამებზე ვინ განსვენებენ.

ეიჟენოვმა გამოიხედა პარტერისკენ, დაინახა—ხალხით სავსეა თეატრი და სიხარულით ისე აღელდა, რომ საჟენ-ნახევრიანი მახოვი—არშინ-ნახევრიან ვალტერად მოეჩვენა და ვალტერი კი—მახოვად. თვალებს არ ემტერებოდა.

მან შუა ჭიდაობაზე ხელმძღვანელობა სხვას ჩაბარა და თვითონ კი გამოვიდა პარტერში, რომ გული ეჯერებინა მართლა, თეატრი სავსეა თუ არა.

თეატრი კი ისე იყო სავსე, რომ ეიჟენმა ერთი თავისუფალი ადგილიც კი ვერ იპოვა დასაჯდომად.

ფეხზე დგომას ისევ თეატრის სალაროსაკენ ამჯობინა წასვლა და გულში კი გახარებული ჰფიქროს: „ხუთასი მანეთი უეჭველად იქნება, უეჭველად!“

მივიდა და აღელვებით შეეკითხა სალაროთ-უხუცესს ქ. გ—ძეს:

— ჰა! ხუთასი მანეთი არის, განა!

— რაო!!! ხუთასიო!...

— მაშ? ოთხასი ხომ მაინც არის?

— შვიდ თუმან ნახევარი გახლავთ ბატონო, რა დაგმართიათ!

— შვიდ თუმან-ნახევარი!

საბრალო ეიჟენოვს ელდა ეცა; გაშრა, გაშეშდა...

დიდხანს იდგა იგი საცოდავად პირ-დაღებული; ფიქრობდა, ფიქრობდა და მაინც ვერ აეღსნა:

როგორ გაივსო თეატრი, როცა კასა ცარიელია. **წკიპურტი.**

კომისია სიღნაღის მაზრაში ფლოქსერის წინააღმდეგ ზომების გამოსანახავად.

მკითხველებს გაზეთებიდან ეცოდინებათ, რომ ამ ერთი თვის წინად ალაზნის გალმა, ეგრედ წოდებულ კაბალზედ, სადაც გაშენებულია იმერელთა ახალშენები, აღმოჩნდა ფლოქსერა. ფლოქსერის კომიტეტის გადაწყვეტილებისამებრ ამ დღეებში 18—22-ში ფროქსერით დასნეულებულ ალაგებს ეწვია საგანგებოდ ამორჩეული კომისია, რომელიც შესდგებოდა სპეციალისტების, ადგილობრივ შუამავალ-ძომრიგებელ მოსაქართლეებისაგან და სიღ. მაზრის თავ.-აზ. წინამძღოლისაგან. ამათ ინახულეს ფილოქსერიანი ვენახები სულ 12 დესეტინამდის ან უკეთ რომ ვთქვათ მთლად ახალშენელების ვენახები და გამოიძიეს თუ რა საშუალებებია საჭირო აღმოჩენილ სენის მოსასპობლად. რამდენადაც კომისის წევრების კერძო ლაპარაკიდან გამოირკვა (კომისიას თუმცა სხდომა უნდა ჰქონოდა რეზოლიუციების გამოსატანად მაგრამ ვერ მოასწრო). კომისია საჭიროდ სცნობს დასნეულებულ ალაგების—ვენახების-მოსპობას (საშუალებანი მოსპობისა დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებზედ). და ამასთანავე საჭიროდ მიაჩნია სიღნაღის შუაგულ რაიონში ვენახებისა გაშენდეს ამერიკულ ვაზების სანერგე, რათა მცხოვრებნი ეხლავე შეუდგნენ ვაზის ამერიკულ ვაზზედ დამყნობას. ყველა ეს ზომები, რასაკვვველია, ფულს ითხოვს და ამიტომ კომისია წარუდგენს რა თავის მოსაზრებას კომიტეტს უკანასკნელი შუამდგომლობას აღძრავს საჭირო კრედიტის გამოსათხოვრად. ერთი სიტყვით ჯერ კომისია შეიმუშავებს თავის აზრს, მერე წარუდგენს კომიტეტს, კომიტეტი მიმართავს კრედიტისათვის მთავრობას და ვინც კარგად ჩახედულია ჩვენი მართვა-გამგეობის მეხანიზმში ის ადვილად მიხვდება თუ რას ნიშნავს ყველა ეს—საბოლოოვ პასუხს წლები დასჭირდება და ისიც საკითხავია თუ რა ხასიათისა იქნება იგი—დადებითი თუ უარყოფითი. ყოველ შემთხვევაში, თუ მივიღეთ მხედველობაში, რომ ფილოქსერა ვრცელდება დიდის სისწრაფით განსაკუთრებით ისეთ ალაგებში საცა ისეთი ხშირი, თითქმის მუდმივ, შიმოსვლა არის, როგორც ალაზნის ორთავ სანაპირის შორის, მაშინ უნდა დარწმუნებული ვიყოთ რომ ფილოქსერასთან ბრძოლა კომისის მიერ ნაჩვენები ზომებით გამოუსედარაგი შეიქნება, რადგანაც მთელი კახეთის ვენახები უკვე დასნეულდება და კახელები კი ამის ცდაში მთლად ხახამშრალნი დარჩებიან—ხახამშრალნი ამ სიტყვის სრულის მნიშვნელობით.

მართალია დღეს კახელი [illegible] ტყუილად არ არის ერთი-[illegible] სინონიმად გადაქცეული. კახელის უმთავრეს წყაროდ ცხოვრებისა უნდა ვენახი ჩაითვალოს; ალაზნის ველის მცხოვრებთათვის ხომ ვენახი ერთად ერთი ცხოვრების წყაროა. ვენახი კახელის ცხოვრების თავიცაა და ბოლოც; იგია მისი მკვდრის დამმარხველი და ცოცხლის მაცხოვრებელი; ამიტომ რომ იგი თვითეულ ვაზს თავის თვალის ჩინივით უვლის და ურწყავს ალაგს თავის საკუთარ ოფლით. მას თითქმის კიდეც მიუღწევია თავის მიზნისთვის; ვენახის კულტურა, შეიძლება ითქვას, რომ მას უმაღლეს წერტილამდის აქვს მიყვანილი; მართლაც ვინც ნახავს ვენახებს: ანაგის, კარდანახისას, ბაკურციხისას, ვეჯინისას, გურჯაანისას და სხვა ის განცვიფრებაში ძოვა და უეჭველათ იფიქრებს რომ იგინი შემუშავებულნი არიან რომელიმე განათლებულ ევროპიელისგან და არა ჩვენი დაბეჩავებულ და მივიწყებულ გლეხისაგან, რომელსაც არამთუ განათლებისა არ გაუგია რა, არამედ უბრალო ხელმძღვანელიც კი არა ჰყოლია, ასე სანაქებოდ მევენახეობის დაყენება მხოლოდ ჩვენის გლეხის საკუთარ გამჭრიახობას და მის თავგანწირულ შრომას უნდა მიეწეროს და თქვენ წარმოიდგინეთ დღეს მისი მდგომარეობა, როცა კარზედ მომდგარი სენი მის ნაამაგარს ძირიან-ფესვიანად ამოგდებას უქადის, და თუ აქამომდე ძრწოდა იგი სეტყვის წინაშე, რომლის მიყენებული ზარალი ერთი ან ორი წლით განისაზღვრება, რალა უნდა იყვეს მისი სასოწარკვეთილება, როცა ახალი სენის ზარალი რამდენიმე 10 წელს გაგრძელდება!?

ფილოქსერამ, როგორც ვენახების ძირიან-ფესვიანად ამომგდებმა სენმა, პირველად თავი იჩინა მე-60 წლებში ჩრდილოეთ ამერიკაში. აქაც მოედო საფრანგეთის ვენახებს და აქაურ მცხოვრებთ თავზარი დასცა თავისის შედეგებით. მალე თავი იჩინა სხვა სახელმწიფოებშიაც და იმდენად საშიში შეიქნა, რომ დაინტერესებული სახელმწიფოები იძულებულნი შეიქნენ გაემართათ საერთაშორისო კრება, თუ არა ვცდები 1878 წ., რომელზედაც გადასწყვიტეს სასტიკი ბრძოლის გამოცხადება ამ განმანადგურებელ სენთან და ამ მიზნით დაარსეს ყოველ დაინტერესებულ სახელმწიფოში მებრძოლი კომიტეტი. ნაჩვენები იყო აგრეთვე საშუალებანი ბრძოლისა, რითაც კარგად მოწყობილ სახელმწიფოებში, სადაც ხალხს ნდობით ეკიდებიან, კიდევაც რაციონალურად ისარგებლეს და შესაფერი სარგებლობაც გამოიღო. სულ სხვას ვხედავთ რუსეთში, სადაც თანახმად კონვენციის გადაყვეტილებისა დაარსებულ იქმნა ფილოქსერის კომიტეტი, იგი ფილოქსერის ბუდეთ გადაიქცა, როგორც დღეს შეიქნა ხოლერის ბუდეთ და ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც, როგორც ყოველთვის ჩვენში, ამ დაწესებულებასაც ბიუროკრატიულ-ფორმალური ხასიათი მიეცა.

კომიტეტი შესდგება მოხელეებისაგან, ამათი მოქმედება გამოიხატება იმაში, რომ ზაფხულობით 2—3 თვის განმავლობაში გზავნის სოფლად ვენახების დასათვალიერებლად მთელს ჯგუფს, შემდგარს უმეტეს წილად არა სპეციალისტებისაგან, რომლებიც 2—3 დღეში გადიან მთელს მეცნიერებას; ეს გუნდი ჩვეულებრივ შესდგება 10—15 კაცისგან; ესენი მოვალენი არიან შემოიარონ ხშირად რამდენიმე მაზრის ვენახები და აღნიშნონ ვაზის ავადმყოფობანი, მიუხედავად იმისა რომ ამგვარი მუშაობა უკვე დიდიხანია სწარმოებს. ჩვენი გლეხი მას უნდობლად ეკიდება... უცბად რამდენიმე კაცი მიდის ვენახში, უთხრის ძირს ვაზს, ხედავენ რომ ძირებს აჭრიან და ყველა ამას წინასწარ აუხსნელად განუმარტებლად—ყველა ეს უბადავს ეჭვს და ჰგონიათ ისინი იქ რაღაცას ჯადოსნობენო; ეს ფილოქსერასთან მებრძოლი ჯგუფები, რომელთაც მხოლოდ მეტეორივით უნდა გაიარონ და გადაათვალიერონ რამდენიმე მაზრის ვენახები, მხოლოდ მაშინ ჰპოულობენ ფილოქსერას როცა მართლა უკვე ფეხი მძლავრად აქვს მოკიდებული; ამ შემთხვევაშიაც არავითარ ზომებს არ დებულობენ, რაკი გავრცელებული სენის მოსპობა ბევრს ხარჯს თხოულობს და ამგვარი ხარჯის გაღებას კი მთავრობას და ისიც განაპირა ქვეყნებში არ ეხერხება. ასე იყო მაგ. 1906 წ. 15 კაცისგან შემდგარი ჯგუფი გაემგზავრა ტფილისის, დუშეთის და თელავის მაზრაში მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ზერელედ ხდებოდა ვენახების დათვალიერება, მაინც ფილოქსერა აღმოჩენილ

იქმნა ს. ნოროისა და მარტყოფსა, ეს რასაკვირველია დაუყოვნებლივ ეცნობა კომიტეტს, მაგრამ მან მის მოსასპობლად არავითარი ზომები არ იხმარა, ასევე მოხდა 1908 წ. როცა ფილოქსერა აღმოჩნდა ხაშმზე და სწორედ მოგახსენოთ, ყველა ამის მცოდნეს ნაღვლიანად მეღიმებოდა, როდესაც ვხედავდი აქ მოსულ კომისიის ფარიფურს შესაზარი გულის ამღვრევი კიდევ ის იყო ფილოქსერის გადმოტანაში ბრალს სდებდნენ მხოლოდ იმერლებს. კომისიას რომ პატარა ღრმათ ჩაეხედნა საქმეში და უგულოთ არ მოქცეულიყო ფილოქსერის გაჩენის მიზეზს სულ სხვაგან აღმოჩენდა; ის მიხვდებოდა რომ ფილოქსერასთან ბრძოლის საქმე ძირიანად გარდასაქმნელია, რომ საქმის ნაციონალურად დასაყენებლად საჭიროა ხალხთან დაახლოება, მისი ნდობის ძოპოვება და მათში გავრცელება შესაფერ ცოდნისა, რომ თვით შესძლონ ავადმყოფობის გამოცნობა; დღეს-დღეობით კი როცა სენი კარზედ არის მომდგარი, საჭიროა რამდენიმე აღაგებში სანერგეების გაშენება, საიდანაც ხალხი უსასყიდლოთ შეიძენს სამყნობ ვაზს. ერთი სიტყვით საჭიროა რადიკალური ზომები და არა პალიატივები. **მროგელი.**

მთავრობილი ამბები

სოფ. ერთაწმინდა (ბორის მაზრა). ეს სოფელი რკინის გზის სადგურ ბრაკდიან ათი ვერსის ეანძიდზეა, შესაბამისად მადლობ ადგილზე და ტეიან მთის ძირზე გაშენებული. წყის კიდევ დაჭეურებს დაცეშულ მინდორ-სოფლებს, ბუნებას არ მოუკლია ამ სოფლისთვის თვისი მზრუნველობა: მას დაუჯილდოებია იგი ზაფხულში მეტად საგრძნობელი გრილი, საღი ჰაერით და მთიდან მოზანნჭარე მეინვარე წყაროებით. სამაგალითოთ სოფელი მოკლებულია შეგნებულ ადამიანის წინამძღოლობას და მზრუნველობას. მცხოვრებთა რიცხვი 160 კომლია და ერთი არ მოიძოვება, რომელსაც შეეძლოს ძინაურ-სოფლის საქმეებში ხელის წინ-გაძღოლა. აქაურ დაწესებულებებს და მათში მოოთ შეადგენენ სოფლის კანცელარია თავისა „მწიგნობარ“—მწერლით და მამასახლისით. სწორედ მოგახსენოდ სოფელი გატანჯულია მწერლის კეთილ-ძიებით როგორც მწერალი, ისე მამასახლისიც საჭიროა კი არიან რასაკვირველია, ერთი წლის განმავლობაში რამდენიმე მწერალი გაშოცვალეს და აი ბოლო დროს ითხოვეს—ვინმე ეორეკა თარხნიშვილი. სოფელი მას 25 მან. აძლევს ჯამაგირს, მაგრამ 25-ი კაპეიკისას არას შეეთეს. კვირაში ერთხელ ან ორჯელ თუ ძოისურვეს კანცელარიაში მობრძანებას და ისიც არა ადრე 12 საათისა. მიზეზი იმის ის არის. რომ თვით ამ სოფლიდან ორ ვერსის სიშორეზე სცხოვრობს თავის საკუთარ დედულ-მამულში—სოფ. ახალქალაქში. ამ მიზეზებში რასაკვირველია თავის მოვალეობის ასრულება ეძნელება. ერთხელ არ მისულა თავის დროზე კანცელარიაში, თუ ვინმემ შეეკადრა და უთხრა: „ბატონო, ადრე მობრძანდით, ხუ გვადამებ ბეი დოდინითაო“, მაშინ დეურთმა დაგეფაროთ... მისთვის ავალებულ ეხაზე დასნიდეა-ვინება ჩვეულებრივი დაბარაკის კიდია, მაგრამ ხალხიც ითმენს. ამაზე არის ნათქვამი: „ადამდი დობე ხახეო, მიდი და გადადახეო“. მამასახლისიც კარგი ხ

და, არა უშავს-რა; კარგად იცის უსაბუთოთ და ყვრიდმან რამეზე სახრის თუთქვა ბეკებში. ნეტა ისეთ რამეზე კი სძუდდებოდეს ხალხს, რომ ბოდის ძადდობის შეთვლა შეიძლებოდეს. მოუდი სოფელი უწყდობასა და უგზოობასა ხიეის. ვინი საქმეა სოფლად ამ ხაირ საქმეების ოობა თუ არა მამასახლისისა, მაგრამ ეს ეურსაც არ იბერტყამს. რამდენჯერაც შეუდგებით ეკანი სოფელს წყლის გამოეგანაზე, იმდენჯერ გამოდგენ თითო ორიდა მოჯიბრე-მოძულდენი და ჩაშლიან საქმეს. „არა, არა, მანამდის ჩვენ ბოქაულის მოთრახები არ მოგვდება წყალს ვერ ვეკარებით“ ოიტეეის ხალმე კამეწარებული ხალხი. მოთრახებისა-კი რა მოგახსენოთ, მაგრამ ბოქაულის ჩარეეა კი, რომელიც ისეც სხვა სოფლებში სდებს თავის დაწყლს, ჯეშმარიტად უნდა ადგინშნოთ თავად ანდრონიკაშვილის შრომა, სიჭირეა და იმედია ჩვენი სოფლის ამ უკიდეს საჭიროებას ეურადღებას მიაქცევს. მით უმეტეს, რომ ხალხი მზად არის უკანასკნელი კაპეიკი გაიღოონ და ერთხელ და სამუდამოთ გამოეეანონ წყალი მოიშოვება ჩვენ სოფელში აგრეთვე საკვლესიო სკოლა, რომელიც აგერ 18 წელიწადია რაც არსებობს, მაგრამ რა ღაც ღვთის განგებით ერთაწმინდელები ს. ახალქალაქში არსებულ სამინისტრო სკოლის სასარგებლოთ კი იხდიან თურმე ოგიდ თუმან-ნახევარ ფულად და ერთ საუნ შეშას. ამ ხნის განმავლობაში 1500 მანეთზე მეტი კალეუხდიათ თითქმის და მოამავალშიც უნდა იხადონ, თუ საქმეს არ მოუარეს, სოფელს სკოლა აქვს და სხვის სოფლის ხეოლს კი ახარჯვენ ფულს და შეშას თავიანთ ბავშვები კი ზამთარში სიცივეთ ძაკძაკებენ სიდმე სკოლაში?!

ი. კატოშვილი.

—

ს. შილდა. (ახალთი) ადამიანი გულქვა უნდა იყოს, რომ გულგრილად უცქიროს იმ აუტანელს მდგომარეობას, რომელსაც განიცდის დღეს ჩვენი კალეხობა. არ შემიძლიან კადმით აგწერო ის სიღარიბე—კაჭარვება რომელსაც დღეს ადგილი აქვს ჩვენს სოფლებში. ირგვლივ სიღარიბე. შიმშილი, მასთან კაძრიელებული ავადმყოფობა ფაღარათობა, რომელითაც დღეში სამი ოთხი ადამიანი კვდება. შიდლაში, ეკარელში, ახალსოფელში, ენისელში და სხ. ერთს ოჯახს ვერ ნახავთ, რომ ორი სამი ავადმყოფი არა ჰყვანდეთ სახლში. მაგრამ არსაიდკან შველა არ არის. მის მაგიერ, დახმარება კაწიონ, სოფ. შიდლაში სტრაჟნიკები ხარჯის ფულს ახდევინებენ ჩაფრება სასტიკობის იჩენენ, კვლეხების მდგომარეობაში არ შედიან. კოდევ კარგი, რომ ხარჯის აგრეფეთ დაკმაყოფილდნენ. ქათმებსა და ინდოურებს მესრი კაკვდეს. ადგილობრივი უფლებით ადგურვიდნი კულტურა შეჭეურებენ ამ ამბებს. ინტელიგენტს ხმას არ ამაღებინებენ და თუ უსამართლობა დინახა, უნდა კაწუმდეს, თუ არ უნდა ზურგი აუწყვნ.

გლეხი ვანო.

ქუთაისი. როდესაც ადამიანი რამე ბრალეულია ირჩევს სამოქმედოდ, საჭიროა წინდაწინვე ანგარიში გაუწიოს თავის სულიერ ძალას, დაკვითხოს თავისს ზნეობრივ შეძლებას, შესწევს თუ არა ძალი შასრულოს ნაკისრი მოვალეობა. ბევრს თავისი ბროფესია შეუფერებლად აერჩევია. ზოგ ექიმს თავისი ამბარტავნული ხასიათი უფრო საამდროო ვექიმობა მოუხდებოდა, ვითომდა ვექიმებს სხვა რამ უფრო შესაფერისი და ასე სხვებსაც.

მინდა ამის შესახებ ცოტა ფაქტები ვაუწყო მკითხველს. ერთი ავადმყოფი, სოფლიდამ ჩამოიყვანა იმისმა ძმამ.

ავადმყოფი მართლაც მეტად ცუდ და საშიშ მდგომარეობაში იყო. სტომაქში აბკა (შუცლის თხელი კანი) გაგბეოდა, ნაწლავი გადმოყარდნოდა. ამას ზედ დაუმატეო სოფლიდამ ეტლით ჯაეჯაეი. ადამიანი მეტად შეწუხებულ-დასუსტებული იყო. მამართეს კომისიის ქუჩაზე საავადმყოფოს პატრონს, ხარეურკს. მაგრამ მან ავადმყოფის გასინჯვა არც კი ინება. თავადებში ჩაცქერდა, მაჯა გაუსინჯა, თავისი გასამრჯელო მოითხოვა (სხვა ადგილიდამ მოიეგანეს, შინ არ იყო) ხელი გაასავსავა და ავადმყოფის პატრონს უთხრა: ორი საათის სიცოცხლე აღარა აქვს. ჩქარა გაიეგანე აქედგან თორემ მოკვდება და მიცყვლებულსაც ადარ გაგატანენ — ხოდერობა არისო. მიიღო სამი მანეთი. ეტლის ფული და თავადცრემლიან ძმას კარები უჩვენა.-.

— უცნობ ქალაქში მათ კერძო გულშემატკივარი ადმოუჩნდათ, დაუცურდნენ. მიირბინეს ერთთას, არ დახვდათ სახლში. მეორესთან, მესამესთან, როგორც იყო მიატანეს კიბეზედ ერთ ექიმს, რომელიც თუმცა სხვაგან შეეშურებოდა, ძალიც დასთანხმდა, ნახა ავადმყოფი, რომელიც ამ დროს უკვე სასტუმროში იმეოფებოდა, შეასრულა ის რაც ერთ შემთხვევაში ექიმის მოგალეობას შეადგენს და ადამიანი გადარჩინა.

ეს მადლიანი ექიმი ბ-ნი ფანტხავა იყო.

როდესაც უქიმი ავადმყოფის გადასარჩენათ „ოპერაციას“ უკეთებდა იმისი ძმა ოთახის კუთხეში თავალ-ცრემლიანი იდგა. უცბად კისმა ექიმის მხიარული ხმა: „ოჰ, გადარჩა, მორჩაო“!.. მტირალი გამოფხიზლდა, კაქანა ექიმი საკენ, მოხვია მაგრად კისერზედ ხელი და დიდხანს ჭკოტნიდა და მადლობას ეუბნებოდა.

რადენი მადლობის გრძნობა იხატება ამ ექიმის შოქმედებაში და რადენი სიმწარე—განწირულება ბარგელი ექიმის ქცევაში?.. **ჯ.**

თეატრი და ხელოვნება

ს. შილდა. ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა ბ. ახოსპირელის მონაწილეობით აქ გამართეს წარმოდგენა სამკითხველოს სასარგებლოდ. წარმოადგინეს „მეზობლები“. და „დატრიალდა ჯარა“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და ხალხიც ბლომად დაესწრო, იყვნენ აგრეთვე სხვა სოფლებიდან მოსულნი. წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზედ, არტისტებიც კარგად თამაშობდნენ, მხოლოდ საერთო სენი—როლის უცოდინარობა ცოტათი აფუჭებდა საერთო შთაბეჭდილებას. ამ წარმოდგენაზედ მეტი ყურადღება მიაქციეს ძეძამიძეს (ირაკლის როლში) ქალ. მ. მირიანაშვილს (ტასოს როლში).

ვუსურვებთ, რომ მალ-მალე გაემართნათ წარმოდგენები ხალხის გამოსაფხიზლებლად. **გლეხი—ვანო.**

რუსეთი

ინტენდანტები პეტრე-პავლეს ციხეში. ამ ჟამად პეტრე-პავლეს ციხეში სხედან ინტენდანტები, რიცხვით ცხრა კაცი. ყველა ამათ დიდი ადგილები ეჭირათ, რასაკვირველია, დიდი ჯამაგირიც. ორს გათავებული აქვს უმაღლესი გენერალურ შტაბის აკადემია. ჰბრალდებათ ზოგს სიყალბე, ზოგს ფულის მითვისება—ქურდობა, ქრთამის აღება და სხვ. გამოძიებას აღმოუჩენია, რომ ამ ინტენდანტებს ერთი საიდუმლო. ბინა ჰქონიათ იქ იკრიბებოდნენ და თათბირობდნენ თუ რომელი საქმიდან რამდენი გაიკრან ჯიბეში. მილიონის ქუჩაზე სცხოვრობდა ვინმე ს., რომელსაც თავს უდვია საინტენდანტო ოპერაციების გაერთიანება. აქ სიტყვა „ოპერაცია“ ქურდობის აზრითაა ნახმარი, ქ-ნ ს. თანაშემწედ იყო კიდევ ვინმე მ. ფაბრიკის პატრონი. ამ ბინაზე ქ-ნ ს. ნირა და ბ. მ—ნის მეთხეთით საქონლის ჩამბარებელთ მოჰქონდათ თავიანთი ფასები საქონლის ჩაბარებისა, ინტენდანტები ამ ბინაზევე სწყვეტნენ იჯარით გაცემის-ბედიღებულს. თუ მორიგდებოდნენ და შეთანხმებოდნენ—საჯარო ვაჭრობის დროს ვეღარ დაუდგებოდა წინ—ყველაფერი წინდაწინვე უზრუნველ ყოფილი იყო. საიდუმლო ბინაზე კრებებს ინტენდანტთა მხრივ ეესწრებოდა ინტენდანტიც. რომელსაც ალბად კონსპირაციისათვის მეტს სახელს უწოდებდნენ. ვარშავასა და მოსკოვში მომხდარ ჩხრეკის დროს ფაბრიკანტებს აღმოაჩნდათ დიდძალი ქაღალდები, რომლებიდანაც მეტად ნათელი ეფინება ამ საიდუმლო „ორგანიზაციის“ მოქმედებას. ირკვევა, თუ რა მილიონებს იპარავდნენ ინტენდანტები.

სამხედრო ვარჯიშობა და გიმნასტიკა საპატიმროებში. საპატიმროთა მთავრობა სამმართველომ წინადადება მისცა მცირე წლოვან პატიმართა გამასწორებელ განყოფილებათა დირექტორებს შეგვატყობინეთ თქვენი აზრი იმაზე, თუ რამდენად შესაძლებელია მიზნის მისაღწევად სასარგებლო, რომ მცირე წლოვან პატიმართათვის შემოღებულ იქნას სამხედრო ვარჯიშობა და გიმნასტიკა.

საზოგადოების დახურვა. მთავრობის განკარგულებით პეტერბურგში დაიხურა მოწყალების მამათა საზოგადოება. ამას გარდა დაადგინეს საზოგადოების თანამდებობათა ზოგიერთი პირი სამართალში მისცენ.

წერილი რედ. ძიძართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენ პატივცემულ გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომელთაც მბურვალე მონაწილეობა მიიღეს საქველმოქმედო მიზნით სოფელ ახალქალაქში 25 ივლისს 1910 წ. გამართულ წარმოდგენაში, რომელთაც თავიანთი ძალა არ დაიშურეს. შემოსავალი იყო 37 მანეთი, ხარჯი 17 მ. დარჩა წმინდა შემოსავალი 20 მ.

გულიხაშვილი.

განცხადებანი

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ფოსტმაპათიებით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—154

ექიმი ბორჯომში ა. ს. ალადაშვილი

ყოფილი ორდინატორი ბარკოვის უნივერსიტეტის ტერაპევტიულ კლინიკის. იღებს შინაგან ავადმყოფებით სნეულებას დილის 9—12 და საღამოს 5—6 ს., ურუსოვის ქუჩა საბლი ზუბალიკისა 25—ნ.—25

დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვოროსოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთ. ავად.

კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა: 9½—1ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ ს. ზილბერშაცი: 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. დარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

კატალოგი

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიის. № 3.

I

სასულიერო შინაარსის წიგნები.

1. იოსელიანი გ. საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა, სურათებით, ტფ. 1909 წ. 40 კ.
2. მისივე ლოცვანი ტფ. 1910 წ. 20 „
3. ძველი ათქმა, ხუთი წიგნი მოსესი ტფ. 1900 წ. . . . . 50 „
4. ფსალ ნი. ტფ. 1901 წ. . . 10 „
5. ახალი ათქმა. სახარება. საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთანი. ტფ. 1879 წ. . 40 „
6. სახარება.

II

მოთხრობები, ლექსები, პიესები.

7. აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული. ტფ. 1908 წ. . . 40 „
8. ანდრეევი ლ. ადამიანის ცხოვრება. ტფ. 1907 წ. . . . 50 „
9. ბარათაშვილი ნ. ლექსები, „სოლოვანის“ გამოცემა. ტფ. 1910 წ. 10 „
10. გვარამაძე ივ. თამრო ჰარამხანაში. გურიის ცხოვრებიდან. ახალციხ. 1906 წ. . . . . 20 „
11. გლახაშვილი ს. წყურვილი. დრამა 3 მოქ. 4 სურ. ტფ. 1910 წ. 30 „
12. გიგაური. ლექსები. ქუთ. 1908 წ. 20 „
13. გიოტე, ფაუსტი. დრამატ. პოემა. ნათ. ბ. მირიანაშვილისა. ტფ. 1909 წ. . . . . 1 მ. 25 „
14. დუტუ-მეგრელი. წიგნი I ლექსები. ტფ. 1909 წ. . . . . 70 „
15. ერისთავი გ. გაყრა, 4 მოქ. კომედია. გამოც. „სოროპნისა“. . 5 „
16. ვაჟაფშაველა. ცრემლები. 1909 წ. 50 „
17. ზღაპრები II, ქალთა წრის გამოცემა. . . . . 1 მ. 30 „
18. თუთაევი აღ. ქართული პიესები ტფ. 1909 წ. . . . . 20 „
19. იერეთელი ბ. დამარცხებულნი. დრამა 5 მ. ტფ. 1908 წ. . . 30 „
20. მისივე ქრისტინე, დრ. 5 მოქმ. ტფ. 1909 წ. . . . . 20 „
21. Избранныя стихотворенія А. Церетели, съ предисловіемъ А. Хаханова. Моск, 1908 г. . . . 20
22. მოლიერი. დრამატ. თხზულებანი. გამ. „სოროპნ-სა“. ტფ. 1909 წ. 50 „
23. ნიშად. კრებული. ტფ. 1909 წ. 15 „
24. ნავთლუღელი შ. შრომის დროს ამონაკვნესი. ლექსები. ტფ. 1908 წ. . . . . 3 „
25. ნინოშვილი ე. პალიასტომის ტბა. ტფ. 1909 წ. . . . . 5 „
26. მისივე ჩვენი ქვეყნის რაინდი. ტფ. 1909 წ. . . . . 20 „
27. მისივე გოგია უიშვილი. ტფ. 1909 წ. . . . . 5 „

მატარებლების მიმოსვლა

18 აპრილიდან 1910 წ.

საათები ნაჩვენებია ტფილისის მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

ტფილისიდან გადის

გათუმისკენ: N 1, სწრ.—საღ. 11 ს. 28 წ.
N 3, საფ-ს.—დღ. 1 ს. 24 წ.
N 5, სამგზ.—საღ. 7 ს. 31 წ

ბაქოსკენ: N 2, სწრაფ.—დილ. 8 ს. 15 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 10 ს. 4 წ.
N 12, სამგზ.—დღ. 2 ს. 38 წ.

ბორჯომისკენ: სამგზ.—დილ. 8 ს. 28 წ.
სამგზავ.—დღ. 3 ს. 36 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო—დამ. 12 ს. 22 წ

ერევნისკენ: სამგზავრო—დღ. 4 ს. 15 წ.

ტფილისში მოდის

გათუმიდან: N 2, სწრ.—დილ. 7 ს. 25 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 9 ს. 4 წ.
N 6, სამგზ.—დილ. 11 ს. 4 წ.

ბაქოდან: N 1, სწრფ.—საღამ. 10 ს. 36 წ
N 3, საფოს.—დღ. 12 ს. 24 წ
N 1. სამგზ.—დილ. 6 ს. 58 წ.

ბორჯომიდან: სამგზ.—დილ. 6 ს. 28 წ.
სამგზ.—საღამ. 8 ს. 08 წ.

ჯულფიდან: საფოსტ.—დილ. 6 ს. 8 წ.

ერევნიდან: სამგზავ.—დღის. 6 ს. 33 წ.

◀ სამეურნეო ჟურნალი ▶

მოსავალი

წელიწადი მეორე

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ**

მიიღება ხელის მოწერა სამეცნიერო-პედაგოგიურს და საილუსტრაციო

ჟ ურ ნ ა ლ ს

„განათლება“ ზე

(წელიწადი მესამე)

ჟურნალი გამოდის წელიწადში ათჯერ. ექვსი ნომერი უკვე გამოვიდა და გაეგზავნა ხელის მომწერლებს. ამ ჟამად იბეჭდება სექტემბრის ნომერი, რომელიც გამოვა 1 ენკენისთვეს. ჟურნალი მოზრდილი ფორმატისაა, თითო ნომერი შეიცავს სამს ბეჭდურს თაბახს. წლიურად ღირს **სამი მანეთი** გაგზავნათ, სოფლის მასწავლებელთათვის **ორი მანეთი.** ჟურნალის დაკვეთა შეიძლება—„წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“—**ივანე ავალიშვილთან,** „ნაკადულის“ რედაქციაში და კერძო აგენტებთან.

მიხამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

დაიბეჭდა და 1 სექტემბრიდან დაურიგდება ხელის მოწერლებს

დუტუ მეგრელის ნაწერების მეორე წიგნი „მოთხრობები“

(მოთავსებულია 19 მოთხრობა).

ძველმა ხელის მომწერლებმა მანამდე უნდა აცნობონ ამ ადრესით: **Тифлисъ. Типографія „Шрома“, В. К. Болквадзе:** ა) თავისი ახალი ადრესი, თუ ადრესი შეცვლილია, ბ) წიგნების რაოდენობა და ვ) საიდან ჰქონდათ გამოწერილი წიგნები.

ვინც დანიშნულ დრომდის მამაგზავნის აგრეთვე დასაბეჭდად ადრესით ან პირადად მოიტანს ერთ მანეთს ძველ ხელის მოწერლებთან ერთად გაეგზავნება ორივე წიგნი: „ლექსები“ და „მოთხრობები“.

წიგნის მაღაზიების

საყურადღებოდ

თანახმად სიტყვიერის და წერილობითის თხზვნისა, იაკობ გოგებაშვილის ახალი **მანეთიანი** წიგნი (რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები) წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ სამ აბაზად ამა წლის დეკემბასთვის პირველამდის. შემდეგ კი მათთათვისაც მანეთად ეღირება. სრული იმედია, რომ მაღაზიები, რაკი თითქმის ნახევარ ფასად მიიღებენ ამ წიგნს „წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიდან, თავის მხრივაც დაუთმობენ მანეთზედ ნაკლებ მყიდველებსა, მეტადრე სახალხო სკოლების მასწავლებლებსა... (8—7)

ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲗ

სწორე და მკვიდრი საათები!

ნუ გამოეკიდებით იაფ-ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.

ოქრას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უზმო საათები სამი სახეურავით «ს ე ბ ლ ი ა», რომლებიც სილამაზით და ხიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრეული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი მგეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ხმა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგახადებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოებულია ოქროს მედალით და ხიკარგის ნიშნით“. ფასი 5 მ 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 60 კ. (ციმბირში 90 კ.).

ПАРИЖЪ 7 PARIS	S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis.

უფასოდ გგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ მეწკვს ბრილიანტით და ხამშის ბუდათ. მიპართვა შეიძლება რეხულ ენაზე. დანურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოხეჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე. (50—8)

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

ᲯᲔᲯᲘᲚᲘ

ოცდა პირველი წელიწადი

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი 40 კაპ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ **ქუთაისში** წიგნის მაღაზიას **„იმერეთ“-ს** და ბათუმში **მ. კალანდაძეს.**

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузынскаго дѣтскаго журнала „ДЖЕДЖИЛИ“ (5—5)

რედ.-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ნაკადული“

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

24 წიგნი მცირე წლოვანთათ. 12 წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა **მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი** (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის). 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი» —ზღაპარი ეკალდისა; 2. «მარჯნები».—ზღაპარი ეკალდისა; 3. „თოფმეტი და“—ზღაპარი ეკალდისა; 4. ქართული მხატვრული ანეკდოტი კუბიკებზე.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში. „ნაკადულის“** რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთ ქარგლაში).

ვ. უიფიანის დრამა

სამეგრელოს მთავარი

ᲚᲔᲕᲐᲜ

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად

გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

ფასი ორი აბაზი

იყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.